ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭო
სანიმუშო-[illegible]-განყოფილების
კომპლექტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელეფონი 13—80.

ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭო
სანიმუშო-[illegible]-განყოფილების
კომპლექტი

დღიური

— გერმანიაში დახურეს 11 კომუნისტური გაზეთი.

— ტიურინგიაში (გერმანია) პოლიციელებ[illegible] სტრეიკბრეხერობაზე.

— პარიზში გაფიცულმა ფოსტ[illegible].

— ბელგიის ლითონის მუშებს ხელფასს 10 პროც.-ით უმცირებენ.

— ოსმალეთ-საბერძნეთის კონფლიქტს ერთა ლიგა არჩევს.

სამშაბათი, 17 მარტი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 61 (1216)

ამიერ-კავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების

საბჭოთა მესამე ყრილობა

დანიშნულია 1925 წ. აპრილის 10-ს

ყრილობის დღის წესრიგი:

1. ამიერ-კავკასიის მთავრობის მოხსენება.
2. 1925—1926 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.
3. წითელი არმიის შესახებ.
4. ა.-კ. ს. ფ. ს. რ. კონსტიტუციის დამტკიცების შესახებ.
5. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა.
7. საბჭოთა საერთო-საკავშირო ყრილობის დელეგატების არჩევა.
6. მიმდინარე საქმეები.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ა. შავერდოვი.

1925 წ. მარტის 14
თბილისი—სასახლე

კოლონიალური ხალხების განთავისუფლება და კომუნისტური პარტია

თუ კიდევ საჭირო იყო ახალი ფაქტები იმის დასადასტურებლად, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება გამოხატავენ აზრს, მისწრაფებას, იმედებს არა მარტო საერთაშორისო პროლეტარიატისა, არამედ თავიანთი ეროვნული განთავისუფლებისათვის ამოძრავებული მრავალ ას მილიონებიან კოლონიალურ და ნახევრათ კოლონიალურ ხალხებისას—ასეთი ახალი ფაქტები არის დღეს მთელი მსოფლიოს განკარგულებაში ყველას დასანახათ. ჩინეთის დიდი რევოლიუციონერის, ჩინეთის ნაციონალურ-რევოლიუციონური მოძრაობის ბელადის, სუნ-იატ-სენის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ჩვენ შევიქენით მოწამე კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტის.

„ძვირფასო ამხანაგებო! იმ დროს, როდესაც მე ლოგინში ვწევარ შეპყრობილი სნეულებით, რომლის წინაშე უძლურია ადამიანი, **ჩემი აზრი მიპყრობილია თქვენსკენ**“...

ასეთი სიტყვებით მიმართავს თავის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში სუნ-იატ-სენი საბჭოთა კავშირის მთავრობას.

„**თავზარდაცემული დიდი ბელადის დაკარგვით, ჩვენი აზრი მიპყრობილია თქვენსკენ:** ჩვენ გვახსოვს, რომ ჩვენი ბელადი და ჩვენი პარტია თქვენში ჰპოულობდენ ძლიერ მოკავშირეების თავისუფლებისათვის ბრძოლაში“.

ასე მიმართავს იმავე საბჭოთა მთავრობას ჩინეთის ნაციონალურ-რევოლიუციონური პარტია გომინდან, პარტია სუნ-იატ-სენის.

„ჩინეთის ნაციონალურ-რევოლიუციონურმა მოძრაობამ დაჰკარგა ბელადი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში მუშაობდა ისეთი პარტიის შესაქმნელად, რომელიც გაანთავისუფლებდა ჩინეთის მასსების გაყვლეფისაგან, კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმისაგან. ამ ბრძოლაში მან ჰპოვა აქტიური მეგობარი მთელი ქვეყნის გაყვლეფილ მუშების სახით. სუნ-იატ-სენი თავის დიად საქმის დაუმთავრებლად სტოვებს და უკანასკნელი სავსებით ეკისრება პარტიას. ჩვენს წინაშე სდგას დიდი დაბრკოლებანი, რადგან გარშემორტყმული ვართ კონტრ-რევოლიუციონური ძალებით. **ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ მუშაობაში თქვენ, როგორც ლენინის ერთგული მოწაფეები, იქნებით ჩვენთან, სუნ-იატ-სენის მემკვიდრეებთან ერთად**“.

ასე მიმართავს დაბოლოს სუნ-იატ-სენის პარტია (გომინდან) რუსეთის კომპარტიის ცეკას და კომინტერნის აღმასკომს.

ხოლო ამ ცამეტი თვის წინათ, შარშან თებერვალში, ამხ. ლენინის გარდაცვალების შემდეგ, ქალაქ კანტონში სუნ-იატ-სენმა მიმართა ჩვენი ბელადის ხსოვნის პატივსაცემათ შეკრებილ რამოდენიმე ათი ათას კაცისაგან შემდგარ კრებას ჩინელებისას ასეთი სიტყვებით: რუსეთის რევოლიუციის დიდ ბელადს ჩინელები უნდა უყურებდენ როგორც მამას, რომელმაც გვიჩვენა ჩვენ გზა საბოლოო განთავისუფლებისაკენ. დავსდოთ ფიცი, რომ გავყვებით მის გზას, შევასრულებთ მის ანდერძს.

განსვენებული ბელადი ჩინეთის ნაციონალური მოძრაობის, არ იყო კომუნისტი; მისი პარტია გომინდანი არ არის კომუნისტური პარტია, პირიქით, ის ბრძოლას აწარმოებდა და აწარმოებს ჩინეთის ახალგაზრდა კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. მაგრამ მით უფრო აღსანიშნავია ის გავლენა, რომელიც ჰქონდა და აქვს ამ პარტიაზე და მის მოღვაწეებზე რუსეთის კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას, კერძოთ ამხ. ლენინს.

სად უნდა ვეძიოთ ახსნა ამ მოვლენის? მხოლოდ იმ უდავო ჭეშმარიტებაში, იმ ფაქტში, რომ კომუნისტური პარტია, საერთაშორისო გაერთიანება კომუნისტური პარტიების, კომინტერნი და ჩვენი მუშურ-გლეხური სახელმწიფო არის დღეს ერთად ერთი ძალა მსოფლიოში მედროშე გაყვლეფილ კლასებისა და კოლონიალურ ხალხების განთავისუფლებისა სოციალურ და ეროვნულ მონობისაგან. უნდა ვეძიოთ ახსნა იმ ფაქტში, რომ ამ დამონებულმა ერებმა **შეიგნეს ეს, იცნეს** პროლეტარიატი, მისი პარტია, მისი სახელმწიფო, როგორც ერთად-ერთი ჭეშმარიტი მებრძოლი მსოფლიოს განთავისუფლებისთვის კაპიტალისა და იმპერიალიზმის მონობისაგან.

არა ეგრედწოდებულ სოციალისტურ-მენშევიკურ პარტიებისაკენ, რომლებიც ეხმარებიან თავიანთ ნაციონალურ ბურჟუაზიას, არა ყვითელი ინტერნაციონალისაკენ, რომელიც ულოკავს გასისხლიანებულ ხელებს პროლეტარიატისა და კოლონიალური ხალხების ჯალათს, საერთაშორისო ბურჟუაზიას, არა ეგრედწოდებულ „დემოკრატიულ-სოციალისტურ“ მთავრობისაკენ, რომლებიც დემოკრატიისა და სოციალიზმის სამოსელ ქვეშ აჰახრაკებენ მდიდრებისა და სოციალური რეაქციის საქმეს—არა მათკენ არის მიპყრობილი აზრი და გულისყური თავიანთ განთავისუფლებისათვის ამდგარი კოლონიალური და ნახევრათ კოლონიალური ხალხების, მათი ნაციონალურ-რევოლიუციონური პარტიების და ბელადების, არამედ კომპარტიისა და საბჭოთა მთავრობისაკენ. ამაში არის უდიდესი იდეურ-პოლიტიკური გამარჯვება რევოლიუციონური პროლეტარიატის, მისი პარტიის, კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების, ამაშია უდიდესი გამარჯვება ოქტომბრის რევოლიუციის.

მხოლოთ ოქტომბრის გზით, მხოლოთ ლენინიზმის გზით, კომპარტიის, ლენინის დროშის ქვეშ მიაღწევს მშრომელი კაცობრიობა, დამონებული ხალხები თავიანთ საბოლოოთ განთავისუფლებას კაპიტალისტური მონობისაგან.

საკავშირო და მოკავშირეთა ბიუჯეტები

1924—1925 წ.

V

ოთხი რესპუბლიკანური ბიუჯეტი ამიერ-კავკასიაში

როგორია საბიუჯეტო უფლების თვალსაზრისით ურთიერთობა ამ ოთხ ბიუჯეტთა შორის? ეს საკითხი არც კონსტიტუციაში და არც სპეციალურ ფინანსიურ კანონმდებლობით გარკვეული არაა. ამიერ-კავკასიის კონსტიტუციის უკანასკნელ პროექტში არის ზოგიერთი დებულებები, რომლებიც გამოდგება მხოლოდ როგორც საერთო ნიადაგი, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოთ რესპუბლიკების მიერ საბიუჯეტო უფლებების პრაქტიკულად განხორციელების დროს. კონსტიტუციის ხსენებულ პროექტის მეორე კარში (თავი პირველი, მუხლი პირველი, ლიტ. Г და Д) არის ნათქვამი, რომ ამიერ-კავკასიის უზენაეს ორგანოების კომპეტენციის შეადგენს „ა.-კ. ს. ს ფ. რესპუბლიკის ერთიან ბიუჯეტის დამტკიცება“ (ლიტ. г) და „სოც. საბჭ. რესპუბლიკების საკავშირო ხელისუფლების ნებართვით დამატებითი გადასახადებების და გამოსაღებების დაწესება ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. ფედერატიულ რესპუბლიკის ბიუჯეტის შესადგენად“ (ლიტ. д.). იმავე კარის მეორე თავი, მუხლი მესამე ამბობს: „ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. ფედერატიული რესპუბლიკა იცავს სუვერენულ უფლებებს მის შემადგენელ რესპუბლიკებისა“.

რა დამოკიდებულება აქვს კონსტიტუციის ამ სამ დებულებას ოთხ რესპუბლიკანურ ბიუჯეტებთან, ან როგორი უნდა იყოს უფლებრივი მდგომარეობა ამ ოთხი ბიუჯეტების სუბიექტებისა საბუჯეტო თვალსაზრისით? როგორც ვხედავთ, კონსტიტუციითაც არაა საბიუჯეტო უფლებები გამოკვლეული და განსაზღვრული. ფედერატიული უზენაესი ორგანო მხოლოდ ამტკიცებს ფედერაციის **ერთიან ბიუჯეტს**.

რა არის ერთიანი ფედერატიული ბიუჯეტი?

ერთიანი ფედერატიული ბიუჯეტი არის შენაკრები ოთხი რესპუბლიკანური ბიუჯეტისა. ამ ოთხი ბიუჯეტის შენაკრებს **ფედერატიული საბჭო ერთი საკანონმდებლო აქტით** ამტკიცებს. აი ეს არის კონსტიტუციაში ნახსენები „ერთიან ბიუჯეტის დამტკიცება“. სამ რესპუბლიკას (აზერბეიჯანს, საქართველოს და სომხეთს) და მათ კავშირს, ფედერატიულ რესპუბლიკად წოდებულს, აქვთ თითოეულს, როგორც რესპუბლიკებს, თავ-თავისი ბიუჯეტი. სამივე მოკავშირე რესპუბლიკა ერთი მეორესაგან დამოუკიდებლად ადგენენ თავიანთ ბიუჯეტს. ამ საკითხის, ე. ი. ბიუჯეტის შედგენის შესახებ, კონსტიტუცია არაფერს ამბობს და არც არის საჭირო ამ კითხვის განმარტება, რადგან მსოფლიოს პრაქტიკა საბიუჯეტო უფლების სფეროში გვიკარნახებს ორ სრულიად უდავო დებულებას: 1) ფედერაციის ბიუჯეტი და მის შემადგენელ რესპუბლიკათა ბიუჯეტები უსათუოდ ერთმეორესაგან განცალკევებულნი არიან და 2) თითოეული მოკავშირე რესპუბლიკამ თავისი ბიუჯეტი თვითონ უნდა შეადგინოს და თვითონვე უნდა დაამტკიცოს. მართლადაც არ არსებობს და წარმოუდგენელიცაა ისეთი რესპუბლიკა, რომელსაც აქვს საბიუჯეტო უფლება, რომელიც: 1) მას ბიუჯეტის ბალანსქმნისათვის საჭირო თანხების წყაროებს არ აძლევს (თუ ასეთი წყაროები რესპუბლიკაში მოიპოვება) და 2) არ ანიჭებს მას ბიუჯეტის შედგენის და დამტკიცების უფლებას. ამ უფლებებს მოკლებული ერთეული, რასაკვირველია, რესპუბლიკის სახელს ვერ ატარებს. მაგრამ, ვინაიდან კონსტიტუციის ძალით ამიერ-კავკასიის ფედერაცია „იცავს სუვერენულ უფლებებს მის შემადგენელ რესპუბლიკებისა“, ზემოხსენებული საბიუჯეტო უფლებების შენარჩუნება, ურომლისოდ რესპუბლიკა, როგორც ასეთი, არ არსებობს, უზრუნველყოფილად უნდა ჩაითვალოს.

ბიუჯეტის ბალანსქმნისათვის საჭირო წყაროები (თუ ასეთი წყაროები რესპუბლიკაში მოიპოვება) ძირითადი კანონით რესპუბლიკას, რასაკვირველია, ექნება მიკუთვნებული და აგრეთვე მას ექნება უფლება თვითონ შეადგინოს და დაამტკიცოს თავისი ბიუჯეტი. ასეთ უფლებას, არამც თუ რესპუბლიკა, გუბერნიებიც არაა მოკლებული, როგორც ამას ამტკიცებს ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულების 141 მუხლი. ამ მუხლის ძალით გუბერნიის საბჭოს ყრილობა ან გუბერნიის აღმასკომის სესია ამტკიცებს გუბერნიის, საგუბერნიო ქალაქის ბიუჯეტებს და მათთან მაზრების ბიუჯეტების შენაკრებს.

ყველა ზემოთ მოყვანილი კანონებიდან და სხვა არა სადაო დებულებებიდან აშკარაა, რომ საქართველომ, სომხეთმა და აზერბეიჯანმა თავიანთი ბიუჯეტი ცალ-ცალკე უნდა შეადგინონ და თვითეული მათგანი ბიუჯეტის ბალანსის ქმნისათვის შემოსავლით იმდენათ უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რამდენადაც მის ტერიტორიაზე არსებული საშემოსავლო წყაროებს შეუძლიათ ასეთი უზრუნველყოფა მას მოუპოვოს. ასეთ პირობებში შედგენილ ბიუჯეტს თვითეული რესპუბლიკა თვითონვე ამტკიცებს, და შემდეგ ყველა რესპუბლიკათა ბიუჯეტები გროვდება ფედერატიულ ცენტრში, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი ფედერატიული მთავრობის ბიუჯეტი, რიცხვით ამიერ-კავკასიაში მეოთხე. **აი ამ ოთხ ბიუჯეტს**, სამს—რესპუბლიკებისას და მეოთხეს—ფედერატიულ მთავრობისას,—**შეკრებილს ერთ დოკუმენტში**, რომელსაც ეწოდება **ერთიანი ამიერ-**კავკასიის ფედერაციის **ბიუჯეტი**, ადასტურებს **ამიერ-კავკასიის უზენაესი ცენტრი**.

ყველაფერი ეს ასე უნდა იყოს და ალბათ ასეთაც ჩამოყალიბდება, მაგრამ ჯერ არა გვაქვს საბიუჯეტო უფლება არც ფედერატიული და არც რესპუბლიკანური; ამიტომ საშემოსავლო წყაროები რესპუბლიკათა და ფედერატიულ ცენტრს შორის არამც თუ არ არის კანონით, რაციონალად და მტკიცედ განაწილებული, ჩვენ არ მოგვეპოვება ასეთი განაწილებისათვის საჭირო საზომი, პრინციპიც, რომელიც ონსტიტუციიდან ნათლად გამომდინარეობდეს.

ჩვენ არ გვაქვს არც თეორეტიული და არც კანონმდებლობითი საფუძველი, რომელზედაც უნდა ეყრდნობოდეს იმ თანხის და საშემოსავლო წყაროების განაწილება, რომელნიც ფაქტიურად დღეს იმყოფება ამიერ-კავკასიის ფედერატიულ ცენტრის განკარგულებაში. ამიტომ ორგანიული ხასიათი არა აქვს იმ დეფიციტებს, რომელთაც ჩვენ ვპოულობთ სხვადასხვა რესპუბლიკის ბიუჯეტებში. ჩვენ მხოლოდ როგორც ფაქტს ვიღებთ იმ გარემოებას, რომ ფედერატიული ბიუჯეტის დეფიციტი არ აღემატება 411.599 მანეთს და რესპუბლიკების კი უდრის:

საქართველოსი	6.193.727 მან.
აზერბეიჯანის	2.583.118 „
სომხეთის	1.753.556 „
სულ	10.530.401 მან

ფედერატიული და რესპუბლიკების ბიუჯეტთა დეფიციტებს შორის ასეთი განსხვავება აიხსნება იმით, რომ ფედერატიულ მთავრობამ მთელი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ჩარიცხა თავის შემოსავლად, და მისი დეფიციტი ამიტომ უდრის მხოლოდ 411.599 მანეთს, რომელიც მან საერთო კავშირის მიერ გადმოცემულ დოტაციიდან აიღო.

ოთხივე ბიუჯეტის რაოდენობა ცალ-ცალკე გამოიხატება შემდეგ ციფრებში:

ბიუჯეტი	მილ. მან.
ფედერატიული მთავრობა	7,9
საქართველოს რესპუბლიკის	10,8
აზერბეიჯანის რესპუბლიკა	8,0
სომხეთის რესპუბლიკა	3,1
სულ	29,8

ამიერ-კავკასიის ფინანსთა კომისარიატის გამოანგარიშებით ოთხივე ბიუჯეტის საერთო ჯამი დარგვალებით უდრის 30 მილიონ მანეთს და ეს თანხა არის განაწილებული ისე, როგორც ზევით არის აღნიშნული.

სამი რესპუბლიკის შემოსავალი ორი წყაროდან, 1) რომელიც მათ კანონით მიკუთვნილი აქვს და 2) რომელიც საერთო კავშირმა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს ერთი წლით დაუთმო (თვითეულ რესპუბლიკის ტერიტორიის წყაროებიდან—სულ 14,3 მილ. მან.) ერთად უდრის:

საქართველოში—	4,6 მილ. მან.
აზერბეიჯანში —	5,4 „ „
სომხეთში —	—1,4 „ „
სულ—	11,4 მილ. მან.

ზევით ხსენებულ ორივე წყაროდან სამივე რესპუბლიკის შემოსავალი, ე. ი. ყოველნაირი მათი შემოსავალი, დოტაციის გარეშე, უდრის 11,4 მილ. მან., მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ საერთო კავშირის მიერ დროებით დათმობილ 14,3 მილ. მანეთიდან ა.-კ. ფედერატიულ მთავრობამ თავის ბიუჯეტში—7,5 მილ. მან., მთლიანად დაიტოვა, სასოფლო-სამეურნეო შემოსავალი, მაშინ სამ რესპუბლიკას ამ დათმობილ თანხიდან რჩება 6,8 მილ. მან. (14,3—7,5). ეს თანხა უნდა გამოვაკლოთ რესპუბლიკების საერთო შემოსავალს—11,4—6,8=4,6 და ამნაირად გამოვაკვლევთ, თუ რამდენი აქვს სამივე რესპუბლიკას საკუთარი შემოსავალი გარეშე ერთი წლით დათმობილ შემოსავლისა. ასეთი მათი,—სამი რესპუბლიკის,—შემოსავალი უდრის 4,6 მილ. მან.; კერძოთ საქართველოს შემოსავალი ამ პირობებში არ აღემატება ორ (2) მილ. მანეთს, რაც სრულიად არ შეესაბამება იმ პრინციპს, რომელიც მოითხოვს, რომ რესპუბლიკას ჰქონდეს თავის სრულ განკარგულებაში მუდმივად ბიუჯეტის ბალანსქმნისათვის საჭირო წყაროები, თუ ასეთი წყაროები მის ტერიტორიაზე მოიპოვება.

არის თუ არა ასეთი წყაროები საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე—ამ საკითხის შესახებ შემდეგ წერილში გვექნება საუბარი.

დ. თოფურიძე.

შენიშვნა: წინა წერილში ცხრილში „არაჩვეულებრივი ხარჯების“ პირდაპირ მეორე სვეტში **გამოტოვებულია თანხა—0,735 ათასი მან.**

დ. თ.

სუნ-იატ-სენის პარტიის მიმართვა საკავშირო ცაკისადმი

კომინტერნის მიმართვა ყველა ქვეყნების მუშებისადმი

„ჩინეთის განთავისუფლება იმპერიალისტებისაგან მშრომელთა საერთო საქმეა“

კომინტერნის მიმართვა ჩინეთის ხალხისადმი

„გაუმარჯოს ჩინეთის განთავისუფლებას!“

პროფინტერნის აღმასკომმა სამძიმარი გამოუცხადა ჩინეთის ხალხს სუნ-იატ-სენის გარდაცვალების გამო

გომინდანის დეპეშა საკავშირო ცაკისადმი

მოსკოვი. 16 მარტი. საბჭოთა კავშირის ცაკმა მიიღო გომინდანის (სუნ-იატ-სუნის) პარტიისაგან შემდეგი დეპეშა: **უდიდესი დანაკლისით თავზარდაცემული თქვენკენ გვაქვს მოპყრობილი ჩვენი თვალები: ჩვენ გვახსოვს, რომ ჩვენი ლიდერი და ჩვენი პარტია ყოველთვის ჰპოვებდენ თქვენში ძლიერ მოკავშირეს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.**

სიკვდილის წინ ჩვენმა ლიდერმა გამოსთქვა იმედი, რომ ჩქარა დადგება ჟამი, როდესაც საბჭოთა კავშირს შეეძლება მიესალმოს ძლიერ, დამოუკიდებელ ჩინეთს, როგორც თავის მეგობარს და მოკავშირეს, და რომ ორივე ერთად გაიმარჯვებენ მსოფლიოს ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

კომინტერნის მოწოდება ყველა ქვეყნების მუშებისადმი

მოსკოვი. 16 მარტი. „ჩინეთის მრავალმილიონიან მასებს თავს დაატყდათ დიდი უბედურება. მოკვდა დიდი ბელადი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ხალხის განთავისუფლებას მძიმე უღლისაგან. გარდაიცვალა სუნ-იატ-სენი, რომელიც შეუპოვრათ იბრძოდა ჩინეთის მშრომელი მასების დამონავების წინააღმდეგ.

მთელი მსოფლიოს რევოლიუციონური პროლეტარიატი თავის დროშებს დახრის იმ მებრძოლის გაუციებელ საფლავზე, რომელიც იბრძოდა თავისი ხალხის დამოუკიდებლობისათვის, ამ ხალხის ბედი კი მჭიდროთ დაკავშირებულია საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლიუციონურ მოძრაობასთან.

სუნ-იატ-სენი არ იყო კომუნისტი, მაგრამ ის გრძნობდა, რომ ჩინეთის დაჩაგრული მშრომელების და საერთაშორისო მუშათა კლასის ინტერესები ეთანხმება ერთმანეთს და ღრმად თანაუგრძნობდა რევოლიუციონურ-განმათავისუფლებელ იდეებს, რომლებიც ამხნევებდა საერთაშორისო პროლეტარიატის მოწინავე ავანგარდს.

სუნი არა მარტო ჩინეთის ხალხის მეგობარი იყო; ის თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდი დასავლეთის მუშების მეგობრათ და მშრომელთა მასების ბელადათ დარჩა.

დაჩაგრული ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლის გარდაცვალების დღეს შეამჭიდროვეთ თქვენი რიგები და დახმარება გაუწიეთ ჩინეთის მშრომელების ნაციონალურ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას. **ნებას ნუ მისცემთ თქვენს ბურჟუაზიას გაყვლიფოს ჩინეთის ხალხი. მედგრათ დაიცავით 400 მილიონიანი ხალხი, რომელიც სულს ღაფავს უცხოელების უღლის ქვეშ.**

გაუმარჯოს მშრომელთა მასების შეუპოვარ ბრძოლას საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ, გაუმარჯოს დასავლეთის და აღმოსავლეთის მუშების და გლეხების სოლიდარობას“.

პროფინტერნის მიმართვა ჩინეთის მშრომელებისადმი

მოსკოვი, 16 მარტი. პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ ძმური სამძიმარით მიმართა ჩინეთის ხალხს სუნ-იატ-სენის გარდაცვალების გამო. მიმართვაში ნათქვამია:

„გააგრძელეთ სუნ-იატ-სენის **საქმე, იბრძოლეთ თქვენი ქვეყნის განთავისუფლებისათვის იმპერიალიზმის უღლისაგან. ყველა ქვეყნების რევოლიუციონურ მუშების სიმპატიები და თანაგრძნობა თქვენს მხარეზეა“.**

კომინტერნის მიმართვა ჩინეთის ხალხისადმი

მოსკოვი. 16 მარტი. „კომუნისტური ინტერნაციონალი თქვენი ეროვნული მწუხარების დღეებში თქვენთან ერთად გლოვობს ჩინეთის სახალხო-რევოლიუციონური პარტიის ბელადის სუნ-იატ-სენის გარდაცვალებას.

სახელი სუნ-იატ-სენის, რომელიც მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში იბრძოდა მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჩინეთის ხალხთა მასების განთავისუფლებისათვის, ძვირფასია მთელი მსოფლიო პროლეტარიატისა და აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხებისათვის, რომლებიც იბრძვიან მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

სუნ-იატ-სენის ცხოვრების გზა— ეს არის გზა რევოლიუციონური ბრძოლისა ჩინეთის ხალხის მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

სუნ-იატ-სენი იყო განსახიერება აღმოსავლეთის, რომელიც დაადგა ბრძოლის გზას ევროპის და ამერიკის იმპერიალისტური ქვეყნების კოლონიალური მონობის წინააღმდეგ. ბრძოლის ცეცხლით აღგზნებული მებრძოლი, რომელსაც მხურვალეთ უყვარდა თავისი ქვეყნის მშრომელი ხალხი და სძულდა ჩაგვრის ყოველგვარი ფორმა, სუნ-იატ-სენი რამდენიმე ათეული წლის წინ, ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას, შეუდგა ჩინეთის ხალხის საუკეთესო შვილების დარაზმვას ბრძოლისათვის მანჩჟუს მონარქიული დინასტიის წინააღმდეგ, რომელიც წარმოადგენდა იმპერიალისტური ყაჩაღობის იარაღს.

მთელი მსოფლიოს იმპერიალისტების სისხლისმღვრელმა თავდასხმამ ჩინეთის ხალხზე ბოქსერთა აჯანყების დროს 25 წლის წინ, სუნ-იატ-სენი გახადა იმპერიალიზმის შეურიგებელ მტრად მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში.

1911 წლის რევოლიუცია, რომელმაც დაამხო ჩინეთის მონარქიის ბატონობა, განუყრელად დაკავშირებულია სუნ-იატ-სენის სახელთან. მიუხედავად ჩინეთის რევოლიუციონერების გმირული ბრძოლისა, სუნ-იატ-სენის მიერ მოწყობილი 1911 წლის რევოლიუცია ვერ იქნა დამთავრებული სავსებით, როგორც ამას მოითხოვდა ჩინეთის ხალხის ინტერესები, და მით ისარგებლეს კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა, რომლებმაც დაჰყვეს ჩინეთი თავ-თავიანთი გავლენის სფეროებით. მაგრამ სუნ-იატ-სენს არ დაუყრია ფარხმალი. მან კვლავ შემოიკრიბა რევოლიუციონური ჯგუფები, შეადგინა სახალხო-რევოლიუციონური პარტია გომინდანი და ამოცანად დაისახა დაეცვა რესპუბლიკა, როგორც რევოლიუციის ერთად ერთი მონაპოვარი.

განსაკუთრებით დიადი გახდა სუნ-იატ-სენის ღვაწლი ჩინეთის ხალხის წინაშე მისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში. მიუხედავად ხანში შესულობისა, სუნ-იატ-სენმა უკანასკნელ წლებში რუსეთის რევოლიუციის გამოცდილების მიხედვით შეიგნო პოლიტიკური პარტიის მნიშვნელობა და შეისწავლა რევოლიუციონურ მოძრაობაში ხალხთა ფართო მასების ჩაბმის მეთოდები.

სუნ-იატ-სენის მნიშვნელობა, როგორც მებრძოლის, როგორც ჩინეთის რევოლიუციონურ ჯგუფების ორგანიზატორისა და ბელადის, ჭეშმარიტად დიდია მსოფლიო პროლეტარიატის რევოლიუციონური მოძრაობისა და აღმოსავლეთის ხალხთათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ის არ იყო კომუნისტი, სუნ-იატ-სენს კარგად ჰქონდა შეგნებული ის, რომ **კოლონიალურ ხალხთა ბრძოლა განუყოფელია მსოფლიო პროლეტარიატის ბრძოლისაგან.**

თქვენი ბელადის სუნ-იატ-სენის გარდაცვალების სამგლოვიარო დღეს კომუნისტური ინტერნაციონალი მოგიწოდებს თქვენ უფრო მჭიდროთ დარაზმოთ თქვენი რიგები გომინდანის სახალხო-რევოლიუციონური პარტიის და ჩინეთის კომუნისტური პარტიის გარშემო და განაგრძოთ ბრძოლა, რომელიც ათეულ წლების წინ დაიწყო გომინდანის გარდაცვალებულმა ბელადმა.

კომინტერნი მოგიწოდებს თქვენ თქვენი ბელადივით მტკიცეთ იბრძოლოთ იმათ წინააღმდეგ, ვინც სცდილობს სუნ-იატ-სენის და მისი პარტიის პოზიციის გადახრას იმპერიალისტებთან კომპრომისებზე წასვლის მხრით.

გაუმარჯოს ჩინეთის განთავისუფლებას“!

შინა-მრეწველობის განვითარება სოფლად

ჩვენს გლეხურ ქვეყანაში საქარხნო წარმოება თითქმის არ არსებობს. ამის ნათელსაყოფად გავითვალისწინოთ საშუალო წლიური შემოსავალი, მაგ., 1909—1913 წ. წ.: სოფლის მეურნეობის პროდუქცია შეადგენდა—95.756.700 მანეთს; ქალაქის საქარხნო წარმოება—94.000 მანეთს; მადნეულობის წარმოება—9.906.000 მანეთს. სოფლის მეურნეობა 95 მილიონზე მეტია და ქალაქის და მადნეულობის წარმოება კი იძლევა მხოლოდ 10 მილიონს.

საქართველოს სოფლის მოსახლეობა 1923 წლის აღწერით უდრის 1.954.542 სულს.

სოფლის და არასოფლის მრეწველობის ზემოაღნიშნული პროდუქცია—105.756.700 მან. რომ გავანაწილოთ სოფლის მოსახლეობის შორის, დავინახავთ, რომ თვითეულ სულს შეხვდება 54 მანეთი ანუ თვეში 4 მანეთი 50 კაპ. ეჭვს გარეშეა, რომ თითო სულის გამოკვება და შემოსვა 4 მ. 50 კაპ. ყოვლად შეუძლებელია და ამიტომ უნდა გავიხსენოთ, სხვათა შორის, ის ფრიად დიდი დარგი, რომელსაც დღემდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა,—ეს დარგია შინა-მრეწველობა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხალხის ეკონომიკაში.

1923 წ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს აღწერით, საქართველოში უკვე ჩაბმულია შინამრეწველობის მხოლოდ რვა დარგის წარმოებაში 49,003 კომლი, ანუ 100,000 სული. მათი წარმოების პროდუქცია, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, უდრის 7,618,000 მანეთს. მაგრამ მარტო ეს მთავარი რვა დარგის წარმოება არ არის საქართველოში, არამედ უფრო დაწვრილებითი გამოკვლევა რომ მოვახდინოთ, მაშინ უფრო მნიშვნელოვანი იქნება შინა-მრეწველთა რიცხვი და პროდუქციაც ბევრით მეტი ფასისა.

ამ მეტად დიდ საქმეს შესაფერ ყურადღებას აქცევს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი და იმედოვნებს, რომ სათანადო ზომების მიღებით შინა-მრეწველობის წარმოებაში ჩააბამს ბევრად უფრო მეტს მომუშავეთ და ასი ათასი შინამრეწველთა რიცხვი ერთი-სამად გაიზრდება და დოვლათიც გაცილებით უფრო დაგროვდება მშრომელ ხალხში.

შინა-მრეწველობას საქართველოში ეწევა უმთავრესად დედაკაცობა. ჩვენში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, ქალები თითქმის არავითარ მონაწილეობას არ ღებულობენ მიწის დამუშავებაში და ამიტომ საკმარისი დრო აქვთ შინა-მრეწველობის საქმისთვის.

ამიტომ სოფლის ეკონომიურად აღორძინებისათვის საჭიროა რაც შეიძლება მეტი სამუშაო მოეწყოს ქალებისათვის.

საქართველოში სრულწლოვანი სოფლის მოსახლეობა ერთი მილიონზე მეტია, მათ შორის მუშა ხელი დედობრივი სქესისა დაახლოვებით 500.000-ს უდრის. ეს რიცხვი რომ მივიღოთ მხედველობაში და აგრეთვე რიცხვი იმ შინა-მრეწველ მამაკაცთა, რომელნიც ხის, თიხის, ლითონის, ტყავეულობის და სხვა წარმოებაში არიან გართულნი,—შეგვიძლია ვიგულისხმოთ მომავალში არა ნაკლები 600.000 საქმიანობაში ჩაბმულ შინამრეწველებისა, ცხადია მაშინ მათი წარმოების პროდუქციაც ერთი ექვსათ მეტი იქნება დღევანდელზედ, ე. ი. არა ნაკლებ 40 მილიონი მანეთისა.

საქართველოში ამ საქმისათვის სრულიად საკმარისი ნედლი მასალა არის: მატყლი, აბრეშუმი, ტყავეულობა, ხე-ტყე, თიხა, რქა, გიშერი, სამღებრო მცენარეულობა და სხვა. ჩვენს მიზანს შეადგენს—საქართველოს მოსახლეობა, მეტადრე დედაკაცობა, ქვრივ-ობლები და უღარიბესი ნაწილი ჩაებან შინა-მრეწველობაში. იმედი უნდა ვიქონიოთ, აქ ამ საქმეში დედაკაცი მეტ უნარიანობას და ნიჭს გამოიჩენს, ვინემ მამაკაცი, რაც უკვე პრაქტიკამ დაამტკიცა.

მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატი უკვე შეუდგა სათანადო ორგანიზაციების მოწყობას. მაგრამ მარტო კომისარიატი სუსტი გამოდგება ამ დიად მნიშვნელოვან საქმის სათანადო დონეზე დასაყენებლად, თუ მას უმაღლესმა ხელისუფლებამ დახმარება ვერ გაუწია გრძელვადიანი შეღავათიან სესხის გაცემით, რის შემდეგ გახდება შესაძლებელი შინა-მრეწველობის საქმის გაფართოებაში მიღებულ საპერსპექტივო გეგმის განხორციელება.

ამ გეგმის მიხედვით მთელი რესპუბლიკა იქნება განაწილებული 30 შინა მრეწველობის რაიონათ. ყოველ რაიონის ეკონომიურ ცენტრის ალაგას იქნება შინა-მრეწველობის პუნქტი. ყოველ პუნქტში იქნება მოწყობილი სამოსწავლო სახელოსნო, სადაც ღარიბ გლეხკაცთა მოზარდი თაობა შეისწავლის შინამრეწველობის საქმეს საუკეთესო დაზგების და მანქანების საშუალებით. პუნქტებს ეყოლება გამგე და ინსტრუქტორი, რომელნიც ვალდებული არიან თავის რაიონში შეისწავლონ შინა-მრეწველთა მდგომარეობა და მათი მუშაობის ეკონომიური და ტექნიკური მხარე, სათანადო რჩევა და დარიგება მისცეს მათ, ხელი შეუწყონ გლეხის მუშაობის უკეთესად მოწყობას. ამასთანავე მათ ევალებათ მიაწოდონ გლეხ შინამრეწველთ ხელსაყრელ ფასებში საუკეთესო მანქანები და ყოველგვარი საწარმოო იარაღები, ნედლი მასალა და დახმარება აღმოუჩინონ ნაწარმოების გაყიდვაში. როგორც ხედავთ, ეს პატარა საქმე არაა. ამ საქმეში საჭიროა დახმარება გაუწიონ მიწათმოქმედების კომისარიატს როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ორგანიზაციებმა, განსაკუთრებით კომკავშირმა, ქალთა-განყოფილებამ და გლეხკომებმა, რომლებმაც უნდა ითავონ შინა-მრეწველთა შეკავშირება არტელებათ და კოოპერატივებათ.

ამ საბიუჯეტო წლისათვის განზრახულია დაარსება ათი ზემოაღნიშნული პუნქტისა და შემდეგში ყოველ წელს ხუთ-ხუთი პუნქტისა. ამ რიგად, ხუთი წლის პერსპექტიულ გეგმის განსახორციელებლათ რესპუბლიკაში უკვე გვექნება 30 სარაიონო შინა-მრეწველობის პუნქტი.

ნახევარ მილიონ გლეხ-ქალთა შინა-მრეწველობის საქმეში ჩაბმას თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად, ამის მტკიცებას არ შეუდგებით,—ეს ყველასათვის გასაგებია, მხოლოდ საჭიროა საშუალებები. ვიმეორებთ, მარტო მიწათ-მოქ. კომისარიატი აქ სუსტი გამოდგება, თუ ის ვერ მიიღებს რეალურ დახმარებას ყველა იმ დაწესებულებების და ორგანიზაციების მხრით, რომელნიც მოწოდებულნი არიან იზრუნონ სოფლის მშრომელთა კეთილდღეობაზე.

ი. უვანია.

უკანასკნელი ცნობები

ჰალეში მომხდარ სისხლისმღვრელ შეტაკების შესახებ.

ბერლინი, მარტის 16. ჰალეში მომხდარმა ამბებმა მღელვარება გამოიწვია მოსახლეობის ფართო მასებში. ჰალეს სამ დიდ ქიმიურ და ელექტრონის ერთ-ერთ დიდ საწარმოს მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს სისხლის ღვრის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. ბორზიკვალდში საპროტესტო გაფიცვა გამოაცხადა 1,200 მუშამ.

კომპარტიამ ჰალეში გამოუშვა კომუნისტურ გაზეთ „კლასენ კამპფის“ სასწრაფო ფურცელი 35.000 ეგზემპლიარად, რომელიც მაშინვე გაიყიდა.

ოთხშაბათს მოხდება მსხვერპლთა დამარხვა. ამ დღისთვის ქალაქში გამოწვეულია ცხენოსანთა პოლკის 200 ჯარისკაცი.

შაბათს ჰალეში შესდგა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების პლენარული სხდომა, რომელმაც დაადგინა მოითხოვოს: პოლიციის—პრეზიდენტის სოციალ-დემოკრატ ნუნგეს დათხოვნა, პოლიციის ლეიტენანტის მიცკერის დაპატიმრება, დახოცილთა ოჯახებისათვის ფულით დახმარების მიცემა და სხვ.

თვით გაზეთი „ფორვერტსიც“ კი აღნიშნავს, რომ „ჰალეში მომხდარი ამბები სამარცხვინოა რესპუბლიკისათვის და რომ კომუნისტების დანაშაული უფრო მცირეა, ვიდრე პოლიციისა“.

აზერბაიჯანის საბჭოთა ყრილობა

ბაქო, 16 მარტი. 16 მარტს დაიხურა სრულიად აზერბაიჯანის საბჭოთა მე-4 ყრილობა.

ყრილობამ დასასრულ მიიღო რეზოლიუციები მოხსენებების შესახებ და აირჩია აზერბეიჯანის სსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ახალი შემადგენლობა, რომელშიაც შედის 161 წევრი და 67 კანდიდატი.

სუნ-იატ-სენის გარდაცვალების გამო

უთანხმოება გომინდანსა და ჩინეთის მთავრობის შორის

პეკინი, 15 მარტი. 16 მარტს მოხდება სუნ-იატ-სენის ნეშთის გადასვენება პეკინის ცენტრალურ პარკში.

გომინდანის აღმასრულებელ კომიტეტსა და ჩინეთის მთავრობას შორის აღიძრა უთანხმოება დამარხვის ცერემონიის შესახებ. მთავრობას სურს ეს დამარხვა მოაწყოს ძველებური ჩინური წესით, გომინდანი ამის წინააღმდეგია და მოითხოვს სამოქალაქო დამარხვას ევროპიულ-რევოლიუციონურ დამარხვათა მსგავსად.

გომინდანი მოითხოვს, რომ ქალაქ ნანკინს, სადაც იქნება დამარხული სუნ-იატ-სენი და პეკინის ცენტრალურ პარკს დაერქვას ხალხის ამ წინამძღოლის სახელი.

პეკინის სამხედრო ძალების უფროსმა ბრძანება გასცა დამარხვის დღეს მთელ პეკინში დაუშვან დროშები. ამ დღეს შეწყდება ყოველგვარი მუშაობა, მოიხსნება წარმოდგენები და სხვა.

ჩინეთის მთავრობამ დაამტკიცა შეთანხმება აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის შესახებ

პეკინი, მარტის 15. ჩინეთის მთავრობამ დაამტკიცა შეთანხმება საბჭოთა კავშირსა და მუკდენს შორის აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის შესახებ და ეს შეთანხმება საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხელშეკრულების დამატებად ჩასთვალა.

პროვოკატორ კურლიანდსკის დახვრეტა

ეკატერინოსლავი, 16 მარტი. პროვოკატორ კურლიანდსკის სასამართლომ მიუსაჯა დახვრეტა.

მუშათა დემონსტრაცია ბერლინში

ბერლინი, მარტის 15. ჰალეში მუშების დახვრეტის გამო ბერლინში შესდგა კომუნისტური დემონსტრაცია 15,000 მუშის მონაწილეობით. წითელ დროშებს შავი არშია ჰქონდათ შემოვლებული. წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა.

კრების ადგილიდან უკან დაბრუნებისას ერთ-ერთმა ჯაშუშმა მოაწყო შეჯახება, რომლის დროსაც სასიკვდილოდ დაიჭრა ერთი მუშა.

სამგლოვიარო სხდომა საკავშირო საგარეო საქმეთა კომისარიატში

მოსკოვი. 16 მარტი. 14 მარტს საღამოს გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატში გაიმართა რუსეთ-აღმოსავლეთ სავაჭრო პალატის საბჭოს სამგლოვიარო სხდომა სუნ-იატ-სენის ხსოვნის აღსანიშნავად. სხდომას დაესწრნენ კომინტერნის, რუსეთის კომპარტიის ცეკას და მოსკოვის კომიტეტის, ჩინეთის და მონღოლეთის საელჩოს, დასავლეთ ჩინეთის, სპარსეთის და ავღანისტანის ვაჭართა, საბჭოთა რესპუბლიკების ცეკების და სხვა წარმომადგენლები.

რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის საბჭოს თავმჯდომარემ ლეჟავამ გახსნა სხდომა და აღნიშნა სუნ-იატ-სენის მნიშვნელობა ჩინეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობის ისტორიაში.

სუნ-იატ-სენის რევოლიუციონურ მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის საბჭოს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ხოდოროვმა

გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრმა (გვარი დამახინჯებულია) გამოსთქვა ულრმესი მწუხარება კომისარიატის სახელით.

შემდეგ ჩინეთის საელჩოს წარმომადგენელმა ლი-პაო-ტანმა დაახასიათა სუნ-იატ-სენის პიროვნება. მან სთქვა: „დაუშრეტელი ენერგია და ჩინეთის ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარული—აი განსვენებულის სრული დახასიათება“.

საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარის მოადგილემ ფრუმკინმა ხაზი გაუსვა, რომ ევვს გარეშე კაპიტალისტური ქვეყნის არც ერთი სავაჭრო პალატა არ გამართავს სამგლოვიარო სხდომას სუნ-იატ-სენის გარდაცვალების გამო. სავაჭრო სამრეწველო კაპიტალის წარმომადგენლები არ ატირდებიან მის საფლავზე.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სახელით სიტყვა წარმოსთქვა პრეზიდიუმის წევრმა—ლომოვმა, შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის სახელით—კოლეგიის წევრმა სირომოლოტოვმა.

სპარსეთის ვაჭართა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მხოლოდ საბჭოთა კავშირის დახმარების წყალობით სპარსეთმა შესძლო თავისი დამოუკიდებლობის აღდგენა.

„ჩვენ ვწუხვართ- -სთქვა მან,—ჩინეთის ხალხის უდიდეს დანაკლისის გამო. ჩინელების მწუხარება—ჩვენი მწუხარებაა“.

ბოლოს კრებამ ერთხმად მიიღო სათანადო რეზოლიუცია და გადასწყვიტა გაუგზავნოს სამძიმრის დეპეშა სუნ-იატ-სენის ქვრივს და გომინდანის აღმასკომს.

სამძიმარი ჩინეთის მშრომელთ

„რემედასის“ აღმასკომის დეპეშა.

მოსკოვი, 16 მარტი. „რემედასის“ აღმასკომის დეპეშაში, რომელიც მან გაუგზავნა გომინდანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, ნათქვამია: „რემედასის“ აღმასკომი 5 მილიონ მუშების და გლეხების სახელით, რომლებიც გაერთიანებული არიან „რემედასში“, თავის ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს აუნაზღაურებელი დანაკლისის გამო“.

რ. ა. ლ. კ. კ. ცეკას დეპეშა.

მოსკოვი, 16 მარტი. რ. ა. ლ. კ. კ. ცეკამ შემდეგი დეპეშით მიმართა გომინდანის აღმასკომს:

„რ. ა. ლ. კ. კ. ცეკა საბჭოთა კავშირის მთელ ახალგაზრდობასთან ერთად ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ჩინეთისმშრომელთამასსების ბელადის სუნ-იატ-სენის დაკარგვის გამო. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩინეთის რევოლიუციონური ახალგაზრდობა, რომელიც გომინდანის პირველ რიგებში იბრძვის, მტკიცეთ გაჰყვება იმ გზას, რომელიც უჩვენეს მთელი მსოფლიოს მუშებს ლენინმა და სუნ-იატ-სენმა.“

გლოვა აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტურ უნივერსიტეტში

მოსკოვი. 16 მარტი. აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტურ უნივერსიტეტის ყველა შენობებზე გამოკიდებულია სამგლოვიარო დროშები. სუ-ნიატ-სენის გარდაცვალების შესახებ ცნობების მიღებისთანავე მოწვეულ იქნა უნივერსიტეტის უჯრედის ბიუროს სასწრაფო სხდომა.

უნივერსიტეტს განზრახული აქვს გამოსცეს წიგნი სუნ-იატ-სენის შესახებ.

სუნ-იატ-სენის ხსოვნის აღსანიშნავად

მოსკოვი. 16 მარტი. რუსეთის კომპარტიის მოსკოვის კომიტეტი იწვევს 16 მარტს პარტიულ, საბჭოთა და პროფორგანიზაციების ფართო კრებას სუნ-იატ-სენის ხსოვნის აღსანიშნავად. მოხსენებებს გააკეთებენ კომინტერნის, რუსეთის კომპარტიის ცეკას და მოსკოვის კომიტეტის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

რ. კ. პ. ცეკას წინადადება.

მოსკოვი. 16 მარტი. რ. კ. პ. ცეკამ სუნ-იატ-სენის გარდაცვალების გამო წინადადებით მიმართა პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს ფართო კამპანია ჩაატარონ მუშებსა და გლეხებს შორის იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს რევოლიუციონურ მოძრაობას კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში და როგორ როლს თამაშობდა გომინდანი და განსვენებული სუნ-იატ-სენი.

რა ხდება „დემოკრატიულ“ გერმანიაში

მთავრობის უფლებების გაფართოება

გერმანიამ თანხმობა განაცხადა ერთა ლიგაში შესვლაზე არსებულ პირობების მიხედვით

ჰალეში მომხდარმა სისხლის ღვრამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მუშებში

პროფკავშირების ყვითელი ბელადები ხელს უშლიან რკინისგზელთა გაფიცვას

გზას უტკეპნიან რეაქციას

უკიდურესი გაჭირვების დროს

ბერლინი. 15 მარტი. ვოლფის სააგენტოს ცნობებით, რეიხსტაგმა მოიწონა კანონპროექტი, რომლის თანახმად კონსტიტუციაში შეტანილი იქნება ახალი სისტემა, რომელიც უფლებას აძლევს მთავრობას უკიდურესი გაჭირვების დროს გამოსცეს რეიხსტაგთან და სახალხო წარმომადგენლობის უფლებათა დაცვის კომისიასთან შეთანხმებით განკარგულებები, რომლებიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციის. ამ განკარგულებებს კანონიერი ძალა ენიჭება რეიხსტაგის სანქციის გარეშე იმ შემთხვევაში, თუ რეიხსტაგის მოწვევა შეუძლებელია, მაგრამ ისინი დასამტკიცებლათ შეტანილი უნდა იქნეს რეიხსტაგში, როდესაც ის მოწვეული იქნება. თუ რეიხსტაგი არ მიიღებს ასეთი წესით გამოცემულ განკარგულებებს, მთავრობა ვალდებულია დაუყოვნებლივ გააუქმოს ისინი.

სისხლის ღვრა ჰალლეში

ბერლინი. 13 მარტი. გერმანული გაზეთებში აუარებელი ცნობებია მოთავსებული ჰალლეში მომხდარ საშინელ ინცინდენტის შესახებ.

აღმოჩნდა, რომ პოლიციელების სროლის შემდეგ საარჩევნო კრებაზე მოკლულია 7 კაცი, მათ შორის ორი ქალია. დარბაზში მოხდა საშინელი აურ-ზაური. კიბის მოაჯირი მოიგლიჯა და აუარებელი ხალხი ჩავარდა ძირს.

სახალხო სახლი, სადაც კრება იყო გამართული, ბრძოლის ველს წარმოადგენს: ყველგან სისხლის ღვარია დამდგარი და დანთხეულია ტვინი. ყველგან დალეწილია დგამი.

სოციალ-დემოკრატიული პრესა პასუხის მგებლობას პოლიციას აკისრებს, თუმცა ჩვეულებისამებრ უსაყვედურებს კომუნისტებს.

საპროტესტო დემონსტრაცია, რომელსაც კომპარტიის ჰალლეს ორგანიზაცია მართავდა აკრძალულია პოლიციის მიერ, რომელიც მზადაა ყოველ შემთხვევისათვის.

ბურჟუაზიული პრესა ამტკიცებს, რომ კომუნისტები დამნაშავენი არიან იმაში, რომ დარღვეული იქნა უცხოელებისათვის კრებებზე გამოსვლის აკრძალვა.

გერმანია შედის ერთა ლიგაში

პარიზი. 15 მარტი, ერთა ლიგის საბჭომ მოიწონა გერმანიის უკანასკნელი მემორანდუმის პასუხის ტექსტი ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის შესახებ.

საპასუხო ნოტა კმაყოფილებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ გერმანია უარს ამბობს სპეციალურ უპირატესობაზე ლიგაში შესვლის დროს, და იმედს გამოსთქვამს, რომ გერმანია ერთა ლიგაში შევა სხვებთან თანასწორ უფლებით. შემდეგ ნოტაში ნათქვამია, რომ სხვა სახელმწიფოებმაც, რომელთაც სამხედრო ძალები განსაზღვრული არიან საზავო ხელშეკრულებით, ლიგაში შესვლის დროს უნდა იკისრონ ლიგის წესდების ვალდებულებანი უშენიშვნოდ.

რკინისგზელთა გაფიცვა

ყვითელი ბელადები ხელს უშლიან მუშების გამარჯვებას

ბერლინი. 15 მარტი. რკინისგზელთა საგაფიცვო მოძრაობას წინააღმდეგობას უწევს პროფკავშირთა ბიურო. გერმანიის პროფკავშირების წარმომადგენლები მოითხოვდენ სულ 6 პფენინგის მომატებას საათში, ე. ი. 10 პროცენტზე ნაკლებს, ხოლო სამუშაო დროის საკითხში წინადადება მისცეს რკინის გზათა სამმართველოს მოაწყოს სპეციალური კომისია „საკითხის განსახილველათ“. მაგრამ ეს მოთხოვნილებაც უარყოფილი იქნა და პროფკავშირებმა, იმის მაგივრად, რომ გაფიცვისაკენ მოეწოდებიათ მუშები, მიმართეს ლიუტერის მთავრობას თხოვნით მოაწესრიგოს ეს საკითხი.

სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება

ბერლინი. 15 მარტი. გერმანიის შრომის სამინისტროსთან არსებულმა სამედიატორო სასამართლომ გამოიტანა დადგენილება რკინის გზელებთან მომხდარ კონფლიქტის შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილება მიმართულია, როგორც მუშების, ისე მწარმოებელთა წინააღმდეგ.

დაუშვებლადაა მიჩნეული—მასიური დათხოვნა. ოქტომბრის ბოლო რიცხვებამდე ძალაში რჩება 54 საათის სამუშაო კვირა. ხელფასის 6 პფენინგით გადიდების ნაცვლად სამედიატრო სასამართლომ მიიღო 3 პფენინგის მომატება.

სამშაბათამდე მხარეებმა უნდა გამოსთქვან თავიანთი აზრი სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ.

გაფიცვა ნელის ტემპით მიმდინარეობს

ბერლინი. 15 მარტი. რკინის გზელთა გაფიცვა ნელის ტემპით მიმდინარეობს. შტრეიკბრეხერების მოქმედება რამოდენიმეთ გაძლიერდა.

ერთიანი ფრონტის აღსადგენად

ლონდონი, 15 მარტი. „დეილი ჰერალდ“-ი იტყობინება, რომ ამჟამად მოლაპარაკება სწარმოებს ტრედ-იუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოს და სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს წარმომადგენლებს შორის იმის შესახებ, რომ მოწვეული იქნეს თათბირი პროფესიონალური მოძრაობის მთლიანობის საკითხის განსახილველათ. მოლაპარაკება ეხება საკითხს, თუ სად და როდის უნდა იქნეს მოწვეული თათბირი.

ფაშისტების ბანაკში

„წმინდა მამები“ ფაშისტებს უჭერენ მხარს.

პარიზი, 15 მარტს. საფრანგეთის კარდინალები და არქიეპისკოპოსები გამოვიდნენ ენერგიული განცხადებით, რომლებითაც მოუწოდებენ კათოლიკებს ყოველმხრივ ებრძოლონ „ერიოს მთავრობის ანტირელიგიურ პოლიტიკას“.

კომპარტიის ორგანო „იუმანიტე“ ხაზს უსვამს ამ დეკლარაციის მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ ეს იმას ნიშნავს, რომ ეპისკოპოსები უერთდებიან ფაშიზმს. „იუმანიტე“ აღნიშნავს, რომ კომპარტიამ უნდა დაიწყოს ნამდვილი ბრძოლა ფაშიზმთან და მოხსნას სამღვდელოების გავლენა მუშებზე და გლეხებზე.

თავდასხმა უკრაინის ახალგაზრდობის ლიგაზე.

ნიუ-იორკი, 15 მარტის. ამერიკის პოლიცია თავს დაესხა უკრაინის მუშათა ახალგაზრდობის ლიგას. ლიგის 3 წევრი, რომელნიც იმეორებდენ პიესას პარიზის კომუნის დღისათვის, დაპატიმრებულია. მათ წაუყენეს ბრალდება იარაღის ტარებაში. ამავე დროს ეს იარაღი ნაქირავები იყო თეატრის კოსტიუმერისაგან.

შემდეგ პოლიციამ გაჩხრიკა უორკერს პარტიის კომიტეტის ბინა და წაიღო ძველი თოფები და ხმლები, რომელიც აგრეთვე დაქირავებული იყო წარმოდგენისათვის.

სასამართლომ მოითხოვა თვითეულ დაპატიმრებულზე 10.000 დოლარი.

საბერძნეთ-ოსმალეთის კონფლიქტი ერთა ლიგაში

პარიზი. 15 მარტი. ერთა ლიგის საბჭომ განიხილა საბერძნეთ-ოსმალეთის კონფლიქტი, გამოწვეული სტამბოლიდან საბერძნეთის პატრიარქის გადასახლებით.

საბჭომ დაადგინა მიმართოს საერთაშორისო ტრიბუნალს იმის გამოსარკვევად, არის თუ არა ერთა ლიგის საბჭო კომპეტენტური საბერძნეთის პატრიარქის გადასახლების საკითხში. ოსმალეთის მთავრობა არ სცნობს ლიგის საბჭოს კომპეტენტურად, საბერძნეთი კი შეუერთდა რეზოლიუციას.

რას იტყვიან პოლონელი პანები

ქსენძ კახოვსკის წერილი

ვინნიცა, 16 მარტი. ადგილობრივ გაზეთში დაბეჭდილია კამენეცკის ეპარქიის ქსენძის კაზიმირ კახოვსკის წერილი პაპის წარმომადგენლისადმი ვარშავაში.

კახოვსკი აღნიშნავს, რომ კათოლიკური სამღვდელოება და პოლონელი მცხოვრებლები საბჭოთა კავშირში სრული პოლიტიკური თავისუფლებით და თანასწორუფლებიანობით სარგებლობენ სხვა ერებთან ერთად.

„მაგრამ —სწერს კახოვსკი— ხანდახან ქსენძების და პოლონეთის ხელისუფლების დანაშაულობის გამო, მწვავდება ურთიერთობა ქსენძებსა და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებს შორის. საბჭოთა ხელისუფლებას აქვს საფუძველი უნდობლობით მოეპყრას ქსენძებს. მთავარ ბრალდებათ ქსენძების წინააღმდეგ აყენებენ მათ მონაწილეობას ჯაშუშობაში და მუშაობას პოლონეთის ორხანკის დავალებით“.

ოსმალეთში

ანგორა. 13 მარტი. მეჯლისში პროგრესისტებმა შეკითხვა შეიტანეს მრავალ ოსმალურ გაზეთების დაკეტვის შესახებ. მოპასუხეთ გამოვიდა შინაგან საქმეთა კომისარი. მან აღნიშნა, რომ ეს ზომა მიღებულია მეჯლისის მიერ ამას წინეთ მიღებულ კანონის თანახმად, რომელიც შეეხება სახელმწიფოს უზრუნველყოფას და არა ამ გაზეთების ოპოზიციონურ დამოკიდებულების გამო მთავრობისადმი. ზოგიერთი ამ დაკეტილ გაზეთთაგანი პოლიტიკური მიზნით ამწვავებდა რელიგიურ საკითხს. მეორეები კიდევ ავრცელებდენ ცრუ ხმებს, რომ ხალხში შეეტანათ ერთგვარი არევ-დარევა.

შემდეგ კომისარმა დასძინა: ის ოპოზიციონური გაზეთები, რომლებიც სერიოზულათ ებრძვიან თავიანთ გეზს, თუმცა მთავრობის მოწინააღმდეგენი არიან, მაგრამ მაინც განაგრძობენ არსებობასო.

ბრძოლა სპარსეთის ნავთისთვის

ნიუ-იორკი. 13 მარტი. სავაჭრო-სამრეწველო წრეების ორგანო „საკომერციო ჟურნალი“ ოფიციალურად იუწყება ვაშინგტონიდან, რომ სინკლერმა ვერ მოახერხა თავის სახელზე აელო ჩრდილოეთ სპარსეთის ნავთის კონცესიები, რადგან ამაში ხელი შეუშალა ინგლისისა და საფრანგეთის ნავთის მრეწველთა შეთანხმებამ. საფრანგეთის ნავთის მრეწველებმა სესხის სახით შესთავაზეს სპარსეთის მთავრობას 25 მილიონი დოლარი, თუ ის უარს ეტყვის სინკლერის კამპანიას ნავთის კონცესიებზე

ერთა ლიგის საბჭოს სესია

ერთა ლიგა და კონტროლი გერმანიაზე

პარიზი. 13 მარტი. ერთა ლიგის საბჭო ჟენევაში, დახურულ კარებში იხილავდა საკითხს გერმანიაზე კონტროლის შესახებ.

საბჭომ მოიწონა ბრიანის წინადადება რეინის ზონაზე სპეციალურ კონტროლის საკითხის შესახებ კამათის გადადებაზე საბჭოს შემდეგ სესიამდე, რომელიც შესდგება ივნისში, ვინაიდან ამჟამად ერთა ლიგას არა აქვს ყველა საჭირო მასალა.

ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ

გლეხთა საერთაშორისო საბჭოს პრეზიდიუმის მოწოდება

ამხ. სტოიანოვის მოკვლის გამო

მოსკოვი, 16 მარტი. გლეხთა [illegible] ბულგარეთის და მაკედონიის ხალხებისადმი.

საერთაშორისო საბჭოს პრეზიდიუმმა გამოუშვა მოწოდება მთელი მსოფლიოს გლეხებისადმი. მოწოდებაში ნათქვამია:

„ძმებო და ამხანაგებო! ბულგარეთის ბურჟუაზიამ ჩაიდინა კიდევ ერთი ვერაგული მკვლელობა. მოკლულია პარლამენტიდან გამოსვლის დროს ერთ-ერთი გამბედავი და აქტიური მებრძოლი კაპიტალისტების და მემამულეთა ულლისაგან მუშათა და გლეხთა განთავისუფლებისათვის. მოკლულია პარლამენტის წევრი მუშათა და გლეხთა დეპუტატი ხარლამპი სტოიანოვი

ერთ წელიწადში უკვე მოკლულია მუშურ-გლეხური ბლოკის 4 დეპუტატი. გაბედული მებრძოლები—პეტკოვი, დიმოვი, სტრაშიმიროვი და ხარლამპი სტოიანოვი დაიღუპნენ რევოლიუციონურ პოსტზე.

აურაცხელ მსხვერპლს, რომელიც შეეწირა ფაშისტურ ბურჟუაზიულ რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლას და ვერიგულათ და ტანჯვა-წამებაში დახოცილებს კიდევ ემატება ახალი მოკლულები. ცანკოვის მთავრობის დანაშაული ხალხის წინაშე უმაღლეს წერტილს აღწევს.

ვინ შეაჩერებს მკვლელების ხელს? ვინ იძიებს შურს მრავალრიცხოვან მსხვერპლის—სისხლისათვის, რომელიც დაღვარა ბულგარეთის ბურჟუაზიის დიქტატურამ?

ძმებო—ბულგარეთის მუშებო და გლეხებო! მხოლოდ თქვენი შეკავშირებით, გაბედული ბრძოლით შეგიძლიათ ჩამოაგდოთ არამზადების მთავრობა. ნუ მოატყუებინებთ თავს ბურჟუაზიას. თავის მიზნების მისაღწევად ბურჟუაზია იყენებს მაკედონელ რევოლიუციონერებს დაქირავებულ მკვლელებათ. ბურჟუაზიას და მის მთავრობას დაეკისრება მთელი პასუხისმგებლობა მთელი დანა-

თქვენ საუკეთესო მებრძოლთა მოკვლის, მთავრობის შეიარაღებულ ბანდების ბარბაროსობის, ბურჟუაზიის საშინელ ტერორის პასუხად შემჭიდროვეთ თქვენი რიგები, განამტკიცეთ მუშათა და გლეხთა ერთიანი ფრონტი, აწარმოეთ გაბედულად ბრძოლა კაპიტალის ულლის დასამხობად და მუშურ-გლეხური მთავრობის შესადგენად.

მხოლოდ ამ გზით ჩაიგდებთ ხელში ძალა-უფლებას, მიწას და თავისუფლებას,—და მაშინ თქვენი აურაცხელი მსხვერპლი ანაზღაურებულ იქნება.

ძმებო და ამხანაგებო—მთელი მსოფლიოს გლეხებო! მხარი დაუჭირეთ ბულგარელ მებრძოლებს გლეხების და მუშების საქმისათვის ბრძოლაში. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ბულგარეთის მუშათა და გლეხთა საქმე — თქვენი საქმეა, მთელი მსოფლიოს გლეხობის და მუშების საქმე. მიტინგებზე, კრებებზე, კონფერენციებზე, ქუჩებში და პარლამენტებში, ყველგან გაისმოდეს თქვენი აღშფოთების და პროტესტის ხმა ბულგარეთის, ცანკოვის ფაშისტურ მთავრობის ვერაგულ მკვლელობათა წინააღმდეგ. გაჰკიცხეთ ბულგარეთის ბურჟუაზიის ძალადობა. დაიცავით თქვენი ძმების—ბულგარეთის მუშათა და გლეხთა ბრძოლა. განუცხადეთ მთელ მსოფლიოს თქვენი სოლიდარობა ბულგარეთის მუშების, გლეხობის და მათი მეთაურების ბრძოლას.

ძირს ვერაგი მტრები! ძირს ცანკოვის მთავრობა! ძირს ბურჟუაზიის დიქტატურა! დიდება დაღუპულ მებრძოლებს: გაუმარჯოს ბულგარეთის, ბალკანეთის და მთელი მსოფლიოს მუშათა და გლეხთა ბრძოლას.

მუშებო და გლეხებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

იტალია

გაფიცულია 80.000 მუშა.

რომი. 13 მარტი. წითელმა პროფკავშირებმა დაადგინეს მიიღონ მონაწილეობა მელითონეთა გაფიცვაში, რომელიც გამოაცხადეს ფაშისტურმა პროფკავშირებმა. გაზეთების ანგარიშის მიხედვით, გაფიცულია 80,000 კაცი.

გერმანია

18,000 გაფიცული.

ბერლინი. 13 მარტი. რკინისგზელების გაფიცვა ბერლინში ძალიან გაფართოვდა.

მთელს გერმანიაში გაფიცულთა საერთო რიცხვი აღემატება 18,000 კაცს.

ბერლინის ოლქის პროფორგანიზაციებმა გამოაცხადეს გაფიცვა ცენტრალურ პროფესიონალურ ორგანიზაციების დაუკითხავად, „ტეხნიკური დახმარების“ შტრეიკბრეხერთა ორგანიზაცია ცდილობს გაფიცულთა შეცვლას, მაგრამ მაინც ვერ ახერხებენ ნორმალური მიმოსვლის დაცვას რკინის-გზაზე. რკინის-გზის ადმინისტრაციამ კვლავ უარჰყო მუშების ყველა მოთხოვნილებები, მათ შორის მოთხოვნილებები ყველა გაფიცულების თავთავიანთ თანამდებობაზე აღდგენის შესახებ.

მსხვილ მრეწველთა ორგანო „დეიტშე ალგემაინე ცეიტუნგ“ სწერს, რომ ადმინისტრაციის საქციელი არათუ არ ამშვიდებს საქმეს, პირიქით, ამწვავებს მდგომარეობას ისევე, როგორც კომუნისტური პროპაგანდა.

ბელგია

ხელფასის შემცირება

პარიზი, 15 მარტი. ბელგიის ლითონის ქარხნების მეპატრონეებს განზრახული აქვთ შეამცირონ სამუშაო ხელფასი 1 მაისიდან 10 პროცენტით.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

პარიზის კომუნის დროშა ლენინის მავზოლეიში.

მოსკოვი, 16 მარტი. ლენინის მავზოლეიზე აღმართულია პარიზის კომუნის დროშა, რომელიც უკანასკნელ დღეებში ფრიალებდა პარიზის ბარიკადებზე 1871 წელში; დროშა დახვრეტილია ხიშტებით.

ეს დროშა რ. კ. პ. ცეკამ მიიღო წარსული წლის 6 ივნისს.

გლეხკორების ყრილობის დახურვა.

მოსკოვი, 16 მარტი. 14 მარტს დაიხურა გაზეთ „ბედნოტა“-ს და „გლეხთა გაზეთი“-ს გლეხკორთა სრულიად საკავშირო ყრილობა.

ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე კრჟიჟანოვსკიმ მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის ცაკის უკანასკნელი სესიის მუშაობის შესახებ.

დახმარება უმუშევრებს.

მოსკოვი. 16 მარტი. სახელმწიფო საგეგმო კომისიის შრომის ქვე-სექციამ, უმუშევართათვის დახმარების გაწევის მიზნით, დაადგინა შრომის სახალხო კომისარიატს მისცეს 3 მილიონი მანეთი.

თბილისის და მისი მაზრის საბჭოთა მეოთხე ყრილობა

პირველი სხდომა

კვირას, 15 მარტს დილით, გაიხსნა თბილისის და მისი მაზრის საბჭოთა მეოთხე ყრილობა.

პირველი სხდომა გახსნა თბილისის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლადო სუხიშვილმა.

პრეზიდიუმი

კომ ფრაქციის სახელით ამხ. სვანიძე წინადადებას იძლევა საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: სტალინი, კალინინი, რიკოვი, კამენევი, ზინოვიევი და ცხაკაია. წინადადება ერთხმათ იქნა მიღებული.

[illegible] პრეზიდიუმში ყრილობა ირჩევს ამხ. ამხ. ორჯონიკიძეს, ორახელაშვილს, [illegible], მხარაძეს, კახიანს, ქართველიშვილს, სუხიშვილს, ივანოვ-კავკაზსკის, რატნეკს, ვოლსკის, ალექსეევს, ჯაშს, მურადოვს, სოლოღაშვილს, გიორგობიანს, ფეხნიაშვილს, ინჟ. ჭიჭინაძეს, ნინო ნაკაშიძეს, კუპრაშვილს, სულხანოვს, მაჩაიძეს, ბიბლიურს, და გუსაკულოვს. პრეზიდიუმის არჩევის დღის წესრიგისა და რეგლამენტის მიღების შემდეგ ყრილობა ისმენს ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენებას საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ.

ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება

საერთაშორისო და საბჭოთა კავშირის შინაური მდგომარეობის შესახებ

მთელი ქვეყანა დაყოფილია ორ მებრძოლ ბანაკათ, რომელთა შორის შეუწყვეტლივ სწარმოებს ხან აშკარა ხან ფარული ბრძოლა; დროგამოშვებით ამ ბრძოლის შედეგების და პერსპექტივების გათვალისწინება ასეთ ყრილობებზე,—ამბობს თავის მოხსენების დასაწყისში ამხ. მამია ორახელაშვილი, კარგ ჩვეულებად უნდა ჩაითვალოს.

შემდეგ მომხსენებელი იწყებს ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ მიმოხილვას.

ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში კაპიტალიზმი ფეხზე წამოდგა და აღორძინების გზას დაადგა, მაგრამ იგი, როგორც ერთი მთლიანი ოჯახი არ არსებობს. ეს გარემოება აადვილებს საბჭოთა კავშირის ბრძოლას კაპიტალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ევროპის ქვეყნებში ახლად დასრულებულ არჩევნების შედეგებს და ხაზს უსვამს რეაქციონურ-კონსერვატორული პარტიების გამარჯვებას ინგლისში, გერმანიაში, იტალიაში და რეაქციის გავლენის ზრდას საფრანგეთში.

მეორე მხრივ ორატორი მიმოხილვას უკეთებს კომუნისტურ მოძრაობას ევროპაში, სადაც იგი დღითი დღე ვითარდება და იპყრობს მუშათა და გლეხთა ფართე მასებს.

მომხსენებელი ეხება აგრეთვე აღმოსავლეთის ქვეყნებს, რომელნიც უკვე ამოძრავდენ და შეუდგენ ბრძოლას განთავისუფლებისათვის. მომხსენებელი ვრცლად ჩერდება ჩინეთზე, ხაზს უსვამს სუნ-იატ-სენის პოლიტიკურ მოღვაწეობას, რომლის მიზანიც იყო საბჭოთა კავშირთან დაახლოების საშუალებით ჩინეთის ხალხთა ეკონომიურ-პოლიტიკური განთავისუფლება.

მოხსენების მეორე ნაწილში ორატორი მოკლე მიმოხილვას უკეთებს საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო მდგომარეობას და აღნიშნავს იმ დიდ მიღწევებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა მეურნეობის ყველა დარგში ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში.

ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენების შემდეგ სხდომა ნაშუადღევის სამს საათზე შეწყდა.

15 მარტის საღამოს სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. მაჩაიძე

სუნ-იატ-სენის ხსოვნის აღსანიშნავად

ამხ. ლ. სუხიშვილის წინადადებით ყრილობა ფეხზე ადგომით პატივსცემს ჩინეთის ახლად გარდაცვალებულის სახალხო ბელადის და რევოლიუციონერის სუნიატ-სენის ხსოვნას.

შემდეგ ამხ. არ. რუხაძე ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენებას სთარგმნის რუსულად.

თბილისის საბჭოს და მისი ორგანოების საქმიანობა

მომხსენებელი ამხ. ლ. სუხიშვილი

მომხსენებელი თბილისის საბჭოს საქმიანობის მიმოხილვას აკეთებს მოკლეთ, რადგან იგი უკვე საკმაოდ გაშუქებული იყო საარჩევნო კრებებზე. მომხსენებელი შესავალში ეხება იმ დიდ პოლიტიკურ გარდატეხას, რომელიც მოხდა თბილისის და მისი მაზრის ამრჩევლებს შორის. საბჭოთა ხელისუფლებას რომ ღრმად აქვთ ფეხი გამდგარი თბილისის და მისი მაზრის მცხოვრებთა შორის, ამტკიცებს ის გარემოება, რომ მენშევიკების ავანტიურის დროს მთელი მოსახლეობა გვერდში ამოუდგა თავის მთავრობას; მეორე მხრივ მცხოვრებთა აქტიური მონაწილეობა არჩევნებში მომასწავებელია იმისი, რომ საბჭოთა სისტემამ შესისხლხორცებია ჩვენს მშრომელ მოსახლეობას.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ცალკე განყოფილებათა მოღვაწეობას.

1924 წელს დამთავრდა თბილისის კომუნალური მეურნეობის სხვადასხვა წარმოებათა აღდგენა. ამ წლიდან უკვე იწყება მისი განვითარება და წინსვლა ომის წინა დროსთან შედარებით. 1921 წელს სრულიად დანგრეული ტრამვაი აღდგენილია სავსებით; ტრამვაის საერთო ხაზს მომატა 16 ვერსი სიგრძე, ახლა კეთდება 20 ახალი მოტორიანი ვაგონი.

წყალსადენი სავსებით შეკეთებულია და თვიურად შეუძლია ქალაქს მიაწოდოს 15 მილიონი ვედრო წყალი.

ქალაქის ელსადგურები მუშაობენ სრული დატვირთვით და შეუძლიათ ქალაქს თამამად სამსახური გაუწიონ ზემოავჭალის სადგურის დამთავრებამდე.

აბანოები ათი წლის განმავლობაში აღარ საჭიროებენ არავითარ შეკეთებას და 1924 წლიდან მათი თანხების დაუხარჯავათ შეუძლიათ მისცენ ქალაქს ყოველწლიური მოგება.

კარგს ტეხნიკურ პირობებშია ჩაყენებული აგრეთვე ქალაქის სასაკლაოც, რომელიც სავსებით აკმაყოფილებს ჩვენს საჭიროებას.

არასოდეს ისე კარგათ არ ყოფილა დაყენებული ქალაქის კეთილმოწყობის საქმე თბილისში, როგორიც არის დღეს. ამ საქმისათვის ქ. აღმასკომი ხარჯავს სამჯერ მეტს, ვიდრე ყოფილი თვითმართველობა. უმთავრესი ყურადღება ეძლევა განაპირა-მუშათა უბნების გამშვენიერებას და კეთილმოწყობას.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ქალაქის საბჭოს მოღვაწეობას მაზრაში: გასული წლის განმავლობაში სოფლებში გაყვანილ იქნა გზები, ჩატარებულ იქნა მიწის რეფორმა და მოწყობა. გახსნილია ახალი სკოლები და აგებულია მათთვის ახალი შენობები, მოწესრიგებულია სახალხო ჯანმრთელობის საქმე და სხვა.

ერთი სიტყვით,—ამბობს მომხსენებელი, მეოთხე მოწვევის საბჭომ როგორც ქალაქისა, ისე მაზრისათვის შეასრულა ყველა მასზე დაკისრებული ამოცანები.

ამხ. ლადო სუხიშვილის მოხსენება რუსულად სთარგმნა ამხ. ვ. მესხმა.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი

სოხუმის საცდელი სადგური.

სოხუმი. 16 მარტი. მოხდა სოხუმის სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურის რეორგანიზაცია. სადგურის რეორგანიზაციის მთავარი მიზანია—სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელება მოსახლეობის შორის.

გარნიზონის თეატრი.

სოხუმი. 14 მარტი. სოხუმში გაიხსნა გარნიზონის თეატრი.

სომხეთი

„ლუკაშინაკანი“.

ერევანი. 16 მარტი. ლენინაკანის მაზრის საბჭოთა ყრილობამ დააკმაყოფილა ყოფილა ლენინაკანის მესამე უბნის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ამ უბანს დაერქვას ლუკაშინის სახელობის უბანი, ხოლო უბნის ცენტრს სოფელი გელგელაკოჩს „ლუკაშინაკანი“.

სომხეთის საბჭოთა ყრილობა

ერევანი. 16 მარტი. 12 მარტს საღამოთი სახელმწიფო თეატრში გაიხსნა სომხეთის საბჭოთა მეოთხე ყრილობა.

მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა სომხეთის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ამბარცუმიანმა. მან აღნიშნა, რომ მეურნეობის აღორძინებასთან ერთად გაიზარდა გლეხობის აქტიობაც, რომელიც უნდა ჩვენ სავსებით გამოვიყენოთ. სოფლის ინტელიგენციასაც სწყურია აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადო ცხოვრებაში, ჩვენი კვალიფიციური ინტელიგენციაც სავსებით საბჭოთა ნიადაგზე დადგა. ყრილობამ რომ განახორციელოს დევიზი „დავუახლოვდეთ სოფელს“, უნდა სავსებით გამოიყენოს გლეხობისა და ინტელიგენციის ეს აქტიობა.

ყრილობის პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა სომხ. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ლუკაშინის მოხსენება სომხეთის მთავრობის მოღვაწეობის შესახებ.

მეორე სხდომაზე ლუკაშინმა უპასუხა მრავალ შეკითხვებზე, რომელიც შეეხებოდა მის მოხსენებას. კამათში მონაწილეობა მიიღო 20-ზე მეტმა დეპუტატმა.

მესამე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. გურეინოვის მოხსენება ა.-კ. ფედერაციის სამი წლის არსებობის შესახებ.

ერევნის ქუჩებში მოწყობილი ხმამაღლა სალაპარაკო აპარატები, რომლის შემწეობითაც მრავალი ქალაქელი ისმენდა ყრილობაზე თქმულ სიტყვებს.

საინფორმ. ციო-განყოფილების ბიბლიოთეკა

ამნისტიის გატარების შესახებ

დადგენილება № 13

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

საბჭ. სოც. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიის ამნისტიის განხორციელების შესახებ.

საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიის მიერ დაპატიმრებულთა ხვედრის შემსუბუქების შესახებ ამა წლის მარტის 7-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შესასრულებლად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: განსაზღვრულ იქნეს შემდეგი წესი აღნიშნული დადგენილების განხორციელებისათვის:

1. ამნისტიის იმ გლეხთათვის შესაფარდებლად, რომელთაც სასამართლო ან ადმინისტრატიულ ორგანოს განაჩენით ან დადგენილებით დაედოთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაუსტუმრებლობისა ან ვადაზე შეუტანლობისათვის პიროვნული ან ქონებრივი სასჯელი, აგრეთვე შინამრეწველთათვის — სახელმწიფო და ადგილობრივი გამოსაღების გაუსტუმრებლობისა და ვადაზე შეუტანლობისათვის — მოეწყოს სამაზრო და საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტებთან კომისიები შემდეგი შედგენილობით: სამაზრო (ან საქალაქო) აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ერთი წევრი, ერთ-ერთი სახალხო მოსამართლე, (ქ. თბილისში და ქუთაისში კი ოლქის სასამართლოს ერთი წევრი) და სამაზრო საფინანსო განყოფილების ერთი წარმომადგენელი, პირველი მათგანის თავმჯდომარეობით და პროკურორის სამაზრო თანაშემწის მეთვალყურეობით—ადგილობრივ და ოლქის პროკურორისა—ქ. თბილისში და ქუთაისში.

2. იმ გლეხებს და შინა-მრეწველთ, რომელთაც ა | წ. მარტის 8-მდე არ შეუსრულებიათ კანონის ის მოთხოვნა, რაც ამა დადგენილების 1 მუხლში, ხოლო რომელთა საქმეც ჯერ კიდევ არ განხილულა, ამნისტია შეეფარდებათ სათანადო სასამართლოთა და ადმინისტრატიული ორგანოს დადგენილებით.

შენიშვნა. მე-2 პუნქტში აღნიშნულ პირებს სასამართლო დაწესებულებაში ამნისტია შეეფარდებათ სასამართლოს გამწესრიგებელ სხდომის დადგენილებით.

3. ამნისტიის შეფარდება იმ მოქალაქეთათვის, რომელთაც მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა კონტრ-რევოლიუციონური და რელიგიური მოტივებით ჩადენილი დანაშაულის გამო, აგრეთვე იმ მოქალაქეთათვის, რომელთაც აღნიშნული დანაშაული ამა მარტის 8-მდე, ხოლო მათი საქმე წინასწარ გამოძიების და მოკვლევის სტადიაშია, მოეწყოს განსაკუთრებული კომისიები ქალ. თბილისსა, ქუთაისსა და ბათომში, ხოლო მაზრებში კომისიები — ადგილობრივ პოლიტიკურ ბიუროსაგან; ამ უკანასკნელ კომისიებში შევლენ: სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, პოლიტიკური ბიუროს თავმჯდომარე და საოლქო სასამართლოს სამაზრო რწმუნებული პირველი მათგანის თავმჯდომარეობით.

4 სასჯელის ვადის ნახევრად შემცირება იმ მუშისა, გლეხისა, წითელ არმიელისა და სამხედრო მსახურთათვის, რომელიც მსჯავრდადებულია ყველა დანაშაულის გამო, გარდა 1-ლ და მე-3 მუხ. აღნიშნულ დანაშაულისა, მოხდება იმ სასამართლო (გამწესრიგებელი სხდომის) და ადმინისტრატიული ორგანოს განკარგულებით, რომლის განაჩენითაც ან დადგენილებით ესა თუ ის პირი იხდის სასჯელს.

შენიშვნა: უკეთუ დაწესებულება, რომლის განაჩენითაც ან დადგენილებით მსჯავრდადებული იხდის სასჯელს, გაუქმებულ იქნა, სასჯელის ვადას შეუმცირებს იმ ადგილის სათანადო დაწესებულება, სადაც იგი სასჯელს იხდის.

5. მე-4 მუხლ. აღნიშნულ პირთათვის სასჯელის ვადის ნახევრად შემცირება მოხდება იმ ძირითადი ვადის მიხედვით, რაც განსაზღვრული იქნება სასამართლოს ადმინისტრატიული ან საგანგებო კომისიის ორგანოს მიერ, სასჯელის იმ ნაწილის ჩათვლით, რაც უკვე მოხდილია; ეს შემცირება გავრცელდება ყველა გვარისა და სახის სასჯელზე, რაც გადაწყვეტილია ვადით, როგორიც არის: თავისუფლების აღკვეთა, თავისუფლების პირობითი აღკვეთა, იძულებითი მუშაობა და უფლების შეზღუდვა.

შენიშვნა: მე-5 მუხ. აღნიშნული სასჯელის ვადის შემცირება არ შეეფარდება რეციდივისტებს, რომელთაც დანაშაული ორჯერზე მეტი ჩაუდენია.

6. ყველა საპატიმრო ადგილის უფროსს, აგრეთვე იძულებითი მუშაობის ბიუროს დაევალება, სამი დღის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნებიდან, წარუდგინოს სათანადო სასამართლო, ადმინისტრატიული და საგანგებო კომისიის ორგანოს სია იმ პირთა, რომელნიც იხდიან სასჯელს.

7. ამა დადგენილების მე-4 პუნქტში აღნიშნულ პირთ, რომელთაც დანაშაული ჩაიდინეს მარტის 8-მდე, ხოლო რომელთა საქმეც წინასწარი წარმოების სტადიაშია, სასჯელის ვადის შემცირება შეეფარდება საქმის არსებითად განხილვის შემდეგ.

8. იმ საქმის გამო, რომელიც საკასაციო წარმოების სტადიაშია, სასჯელის ვადის შემცირებას შეუფარდებს საკასაციო ინსტანცია, როდესაც საკასაციო საჩივარი ან პროტესტი დატოვებულია უშედეგოდ და საქმის ხელმეორედ არსებითად განხილვის შემდეგ, როდესაც განაჩენი გაუქმებულია.

9. საჩივარი ამნისტიის შეუფარდებლობისა ან არასწორი შეფარდების გამო შეტანილ უნდა იქნეს რესპ. პროკურორის სახელზე, რომელსაც დაეკისრება საერთო მეთვალყურეობა ხსენებული ამნისტიის განხორციელებისათვის.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ
ლ. სუხიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. მარტის 16.
თბილისი—სასახლე.

საბჭოთა არჩევნები საქართველოში

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობები

საბჭოთა ყრილობა ახალციხეში.

ახალციხის სამაზრო საბჭოთა ყრილობა გაიხსნა 15 მარტს ქალ. ახალციხეში.

გურიაში.

კოხნარის თემში არჩევნები დასრულდა. სულ აირჩიეს 28 დეპუტატი. მათშორის 11 კომუნისტია და 2 ქალი.

შორაპნის მაზრაში.

— **რგანის თემი.** რგანის სათემო საბჭოში აირჩიეს 18 წევრი. მათ შორის 5 კომუნისტია, 1 ქალი და 1 ახკომკავშირელი.

— **ხრეითის თემი.** სათემო საბჭოში აირჩიეს 28 დეპუტატი.

— **თავასის თემი.** სულ აირჩიეს 45 დეპუტატი. მათშორის 10 კომუნისტი, 3 ქალი და 1 კომკავშირელი.

— **მუხურის თემი.** სულ აირჩიეს 30 დეპუტატი, აქედან 3 კომუნისტია და 2 ქალი.

— **ლაშე-ღვერკის თემი.** სათემო საბჭოში აირჩიეს 30 წევრი, აქედან 1 კომუნისტია, 7 ქალი და 4 ახკომკავშირელი.

— **ამაშუკეთში** საბჭოების წევრებად აირჩიეს 55 მოქალაქე. მათ შორის 11 კომუნისტი, 7 ქალი და 6 კომკავშირელი.

ქალ. ზესტაფონში.

საქალაქო საბჭოში აირჩიეს 56 დეპუტატი. მათ შორის 16 კომუნისტია და 4 ქალი.

სამხრეთ-ოსეთში.

— **ახალგორის** თემში სათემო საბჭოში აირჩიეს 77 დეპუტატი. აქედან 9 კომუნისტია და 4 ქალი.

— **მონასტრის** თემში სათემო საბჭოში აირჩიეს 61 წევრი. მათ შორის 4 კომუნისტია და 1 ქალი.

— **როკის რაიონის** სათემო საბჭოში აირჩიეს 31 დეპუტატი. მათ შორის 15 კომუნისტია და 3 ქალი.

— **კუდარის** სარაიონო საბჭოში აირჩიეს 65 დეპუტატი. მათ შორის 33 კომუნისტია და 1 ქალი.

— **ქებუნის რაიონში** არჩევნები დასრულდა წარმატებით. სარაიონო საბჭოში აირჩიეს 27 დეპუტატი. მათ შორის 7 კომუნისტია და 2 ქალი.

ფოთი.

ქ. ფოთის საქალაქო საბჭოში სულ აირჩიეს 160 დეპუტატი. აქედან 85 კომუნისტია, 24 ქალი და 75 უპარტიო.

ოზურგეთის მაზრა

არჩევნები ბახვის თემში

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

საარჩევნო კრება ბახვის თემის გლეხებისა შესდგა 5-მარტს ადგილობრივ სკოლის ეზოში. ეზო მორთული იყო საზეიმოთ და თვითმცხოვრებიც სიხარულით შეეგებენ ამ მნიშვნელოვან არჩევნებს. მაზრიდან დაესწრენ სამაზრო საარჩევნო კომისიის წევრები: 1. გერ. კვაჭაძე, 2. მიხ. ჭოხნელიძე, 3. კოლია დოლიძე, 4. კ. გორდელაძე და სხვები.

კრებას დაესწრო ამრჩეველთა დიდი უმრავლესობა. კრებას ხელმძღვანელობს ხუთი კაცისაგან შემდგარი პრეზიდიუმი.

სამაზრო საარჩევნო კომისიის რწმუნებული ამხ. კოლია დოლიძე აცნობს კრებას არჩევნების მნიშვნელობას, თუ რა არის საბჭოთა ხელისუფლება, როგორ გაინთავისუფლა თავი რუსეთის გლეხობამ და მუშებმა,—ბურჟუა-მემამულეების და ექსპლოატატორების ბრჭყალებისაგან, როგორ ჩამოართვა მათ პოლიტიკური და ეკონომიური ძალა-უფლება; რისთვის უფრთხობს ძილს საბჭოთა ძალა-უფლების ზრდა ევროპის გაიძვერა კაპიტალისტებს და ბოლოს აცნობს საზოგადოებას, რომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელია კომუნისტური პარტია, რომ ის არის მებაირახტრე პროლეტარული წყობილების. განმარტა ეხლანდელი არჩევნების მნიშვნელობა და მოუწოდა ხალხს, რომ საბჭოში აირჩიონ პატიოსანი მშრომელი ნაწილი გლეხობისა.

შემდეგ რაიაღმასკომის თავმჯდომარე მ. ჭოხნელიძე აცნობს კრებას წარსული წლის ანგარიშებს და მუშაობას, რასაც კრება დამაკმაყოფილებლად სცნობს.

კრებამ დაასახელა პერსონალურად კანდიდატები და მათგან აირჩიეს 38 დეპუტატი. საბჭოში შედის ორი მესამედი უპარტიო გლეხებისა, მათ შორის არის 3 უპარტიო ქალი.

სამაზრო საარჩევნო კომისიის თანდასწრებით სათემო საბჭომ აირჩია პრეზიდიუმი. რომელშიაც შედის ერთი პარტიული მ. დოლიძე და ორი უპარტიო მირ. ჩხაიძე და სანიკოლაშვილი.

შემდეგ საბჭო ერთხმად ირჩევს თავმჯდომარედ პარტიულ ამხ. მიხ. დოლიძეს. საბჭოთა არჩევნებით მცხოვრებნი კმაყოფილი დარჩენ, ვინაიდან არჩევნები იყო ნამდვილი თავისუფალი და გლეხებშიაც სიხალისე გამოიწვია.

გ. მ—ლი.

შორაპნის მაზრა

ლაშე-ღვერკის თემი

არჩევნები დაიწყო 6 და გათავდა 10 მარტს, სულ არჩეულია საბჭოში 30 წევრი.

ამათში: პარტიული 3, კომკავშირელი 3, უპარტიო 24, მათშორის ორი მასწავლებელი, სამკითხველოს გამგე და სამი ქალი.

აღმასკომის თავმჯდომარეთ არჩეულია ამბერკი ხარატიშვილი. წევრებათ—ეკატერინე ხარატიშვილი და ვასილ კვირიკაშვილი.

მუშათა ცხოვრება

რკინის ცოცხი სიმულიანტ მუშებს

დილის 11 საათი იყო და თუთუნის ქარხნის მუშები საუზმისათვის გამოსულიყვენ, ამ დროს ერთი მუშათაგანი იორღა ცხენივით გაქანებული მოადგა ქარხანას.

— ჰაა, რა ჰქენი?—შეეკითხა ერთი მუშა მოსულ მუშას.

— რა უნდა მექნა, როგორც ყოველთვის, ხუთი დღით კიდევ განმათავისუფლა ექიმმა, გუშინ ალლუმიდან სასმელად წავედით და მთელი ღამე გავათენეთ, დღეს კი ცოტა თავი მტკივა, ალბად გავცივდი.

— კარგი ექიმი ყოფილა, თუ მაგისათვის ხუთი დღით გაგანთავისუფლა რასა კარგავს ექიმი? ჯამაგირს დამზღვევი სალარო მაძლევს და არა ექიმი.

— ეგ ხომ ღალატია. დამზღვევი სალარო ხალხის შრომით არსებობს და განა ხალხის შრომა ბოროტად უნდა მოიხმარო? ეკითხება ამხანაგი.

— მარტო ხომ მე არა ვარ ასეთი' ჩემისთანები ბევრნი არიან სხვა ქარხნებშიც.

— ცხადია, რომ თქვენი ადგილკომიც თავს არ იწუხებს და დირექცია ხომ ყურსაც არ გაიბერტყავს. ადგილკომს კი ეს არ ეპატიება.

— არც დირექცია არაფერს ჰკარგავს და არც ადგილკომი. თვენისთანა სიმულიანტებზე საჭიროა სასტიკი კონტროლი.

— შენ სულელი ყოფილხარ, ამხანაგო, თორემ მაგას არ იტყოდი. განა ეხლა სიმართლით ცხოვრება შეიძლება? თუ ეგიძლიან იცრუე იტყუე და ისე იცხოვრე, თორემ შიმშილით კუჭი ვაგიხმება, მე კი ხუთ დღეს მხარ-თეძოზე წამოვწვები და ჯამაგირსაც სრულიად მივიღებო, დაუმატა. ამისთანა მუშა სამარცხვინო ბოძზე უნდა გაიკრას. უნდა გაეწიოს სასტიკი კონტროლი სიმულიანტობას.

მუშა—მარპობა.

შრომის კანონები პროვინციაში ირღვევა

(პროფსაბჭოს საყურადღებოდ).

ერთი დაწესებულება არ არსებობს ქ. ონში, რომ შრომის კანონებს გვერდს არ უვლიდეს და ყოველ ნაბიჯზე შრომის ექსპლოატაციას არ ჰქონდეს ალაგი. დარაჯებს ეუთვნით სპეც-ტანსაცმელი, ისინი კი ტიტველ-შიშველი დაიარებიან, შრომის ინსპექცია კი კითხულობს ნებართვას ზედმეტი მუშაობისას, თვითონ იძლევიან ნებართვას და როგორც უწყალოთ ისე ექცევიან მომუშავეთ. ამიტომ აქ ყოველთვის აქვს ალაგი შრომის კოდექსის დარღვევას და შრომის მიურიდებელ ექსპლოატაციას. საჭიროა მიაქციოთ ყურადღება პროვინციასაც.

მუშ. პროვინციელი მუშაკი.

მუშის სიმღერა

ჩვენ ცეცხლს დავანთებთ რისხვისა ალით,
მშრომელთ მივაწვდით წითელს სხივებსა,
პროლეტარულსა რაზმს შევაყენებთ,
წინ გავუძღვებით მებრძოლთ მწკრივებსა.
ფერფლად მოვაქცევთ ბოროტს სამეფოს
მედგარი რაზმით, ცეცხლის ალითა,
გავანადგურებთ „შავთა ბანაკებს“
წითელი სხივის ნაპერწკალითა.
„შავ ბანაკებში“ ყიჟინის ხმითა,
შურის ძიებით ჩვენ შევიჭრებით,
მუშათა კლასზედ გამეფებულ ტახტს
ბრძოლის ქარ-ცეცხლით დავეჯახებით.
გავანადგურებთ მონობის უღელს;
წითელსა დროშას ავაფრიალებთ;
მშრომელთა კლასის საკეთილდღეოდ
მომავლისა ჩარხს დავატრიალებთ.
ძველ ნანგრევებზედ მონობის ნაცვლად
თავისუფლებას დავასადგურებთ,
ბრძოლით დავიპყრობთ მოწინაალმდეგეთ,
ვით ნაცარ-მტვერსა გავანადგურებთ.
სიამით შევცვლით მშრომელთ გლოვის ხმას,
და ავამღერებთ ზეიმის ნანას,
ჩვენ ავაშენებთ მშრომელ ხალხისთვის
თავისუფლების წითელ ქვეყანას.
ავაფრიალებთ, ავღმართავთ დროშას,
დავასამარებთ მტრობას და შურსა,
წითელი ასოთ დროშას დავაწერთ
ძმობას, ერთობას და სიყვარულსა.

მუშა ვ. სალუქვაძე.

უპატრონო ქუჩა

(ქალ.-ალმასკომისა და „[illegible]ტამის“ საყურადღებოდ)

სასამართლოს ქუჩის დასაწყისი, სადაც ის უერთდება ერმოლოვის ქუჩას, საშინელი სიბინძურითაა მოცული. აქ არ არის განათება, რის გამო ხშირად დაფრენენ ამ ადგილას ღამის „პეპლები“; მრავალ ადგილზე ორმო-ჩორროებია. აქ გამვლელი ღამით უნებლიეთ ხიფათში ვარდება.

აქვეა „ჩეკა“-ს კლუბი „კატორი“, რომელსაც არა აქვს „კლოზეტი“ და მისი სტუმრები ამ ბნელ ქუჩაზე გამოდიან საღამოობით—სიბინძურის ღვარია ამდგარი. ამას ემატება ორივე მხრით გაშენებული თავლების ნაგავი და ამ ნაირად ისეთი საშინელი ატმოსფერა დგება და ისე ყარს ეს ქუჩა, რომ აქ გავლა შეუძლებელია. ამ გარემოებით მეტად შეწუხებულია ა. კ. კ. უნ-ტის სტუდენტობა, რომელთაც დღეში თითქმის 2—3 ჯერ უხდებათ აქ გავლა.

ეს ადგილი ახლოა რუსთაველის პროსპექტთან, რომელსაც აგრეთვე უზიარდება ეს მოწამლული ჰავა.

საჭიროა: ქუჩა განათებულ იქნეს, თავლები მოიშალოს და ეს ქუჩა არ სწვავდეს) ასრულებდეს კლუბ „კატორი“-ს ფეხის ადგილის მაგიერობას.

მუშკორი ც.—გოლა.

სახლი თავზე გვენგრევა

(ქალ. აღმასკომის „უ. ძ. ს-ის საყურადღებოდ).

სახლის პატრონის თავგასულობას, უკმაყოფილებას და მდგმურებთან უდიერ მოქცევას ბოლო არ მოეღო. ისინი არ კმაყოფილდებიან ახალი საბინაო ტარიფით ქირების მიღებას საერთოდ და კერძოდ ჩემმა სახლის პატრონმა ბინის ქირის მომატების დაკავშირებით მოუმატა ღვინის სმას და ქეიფს, ნაცვლად ბინების შეკეთებისა. ბინების შეუკეთებლობის გამო ხდება ხშირი უბედურება. ერთი ამნაირი უბედურება დაატყდა თავს წყალსადენის თანამშრომელ ამხ. ლ. დოლიძეს, რომელიც სცხოვრობს **არსენალის აღმართზე დავიდოვის სახლი № 35-ში.** აქ სახლის მოაჯირი და კიბე ძლიერ ძველი და დაზიანებული არის. აქ ორი დღის წინ მოტყდა მოაჯირი და ამხ. დოლიძის ცოლი მეორე სართულიდან გადმოვარდა. მძიმედ დაშავებული საცოდავი ქალი წაიყვანეს საავადმყოფოში.

თუ ეს სახლი არ შეკეთდა, მოსალოდნელია მეტი უბედურება. ამხ. დოლიძე პატარა ჯამაგირის ღებულობს და მიუხედავად ამისა მან რამოდენიმეჯერ შეაკეთა მოაჯირი თავის ხარჯით.

აუცილებლათ საჭიროა, მიეცეს წინადადება **მოქ. დავიდოვს შეაკეთოს ბინა და ან განაცხადოს უარი, სადაც ჯერ არს პატრონობაზე** და მიენდოს მდგმურებს სახლის მოვლა-პატრონობა.

მუშკორი ა. განიძე.

აღმოუჩინეთ შენობა

(განათლ. კომისარიატის საყურადღებოდ)

თბ. მეორე ინდუსტრიალური ტეხნიკუმი (კამოს ქ. № 70) მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაშია შენობის სივიწროვის გამო, რაც აფერხებს მოწაფეების კულტურულ წინსვლას.

აქ დაარსებულია მრავალი წრე (ლიტერატურული, ტეხნიკური, პოლიტიკური, ფილოსოფიური). განზრახულია სპარტაკელთა გუნდის დაარსება და ყველა ამისთვის შესაფერი დარბაზი არ არის. საჭიროა განათლკომისარიატმა მ იაქციოს ამას ყურადღება და შესაფერი შენობა აღმოუჩინოს.

ინფ. ჩეხი.

მუშაკიც ასეთი უნდა

(ჩვენი გორელი მუშკორისაგან).

1924 წ. დეკემბრის 15-მდის გორის სამხერხაო ქარხანა მეტად ცუდ მდგომარეობაში იყო, თითქმის დაკეტვის გზაზე იდგა. მაგრამ დეკემბრის 15-დან ორი თვის განმავლობაში ქარხანა სრულიად გამოაჯანსაღა ამხ. გ. ფილიამ. ახლა იქ გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს. ამ საქმის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის თვით გორ. აღმ. ადგილ. მეურნეობის განყოფ. გამგეს ამხ. ს. ცხოვრებაშვილს, რომლის მეოხებითაც გამოიძებნა სესხი სამაღმასკომიდან და თბ. კომუნალურ გორის განყოფილების ბანკიდან.

მადლობა ასეთ მუშაკებს.

მუშკორი ლიახველი—ლადი.

ლოთობას ბოლო უნდა მოუღოთ

(რკინის გზების მთავარ სახელოს. უფროსის საყურადღებოდ).

არ იქნა და არა ბოლო არ მოეღო მუშაობის დროს კავშირის ზოგიერთი წევრის ლოთობას. ასეთი, უზნეო პირი არ კმაყოფილდება იმით რომ თვითონ სჩადის ამ საზიზღარ საქციელს, არამედ სხვასაც ითრევენ ხოლმე ამაში. მექვაბეთა საამქროს ბრიგადირის მოადგილე დავიდოვი ძალზედ გალეშილი—მოვიდა სამუშაოზე, მაგრამ დარაჯებმა აღარ გაუშვეს და როცა დარაჯებს ის გარედ გაჰყავდათ ქარხნიდან, მან ლანძღვით მიმართა ჯერ თავის დელეგატს, რომელიც მას უხსნიდა წასულიყო სახლში და შემდეგ მთელი ადგილკომი უშვერი სიტყვებით მოიხსენია. სანამ ადგილკომის თავმჯდომარემ „დეტ ჩეკას“ დახმარებით არ მიაბძანა ღამის გასათევად „განსაკუთრებულ ბინაზე“, ის არ დაწყნარებულა. თვითონ არაფრის გამკეთებელი, სხვებსაც ხელს უშლიდა. ასეთი მოვლენები რკინისგზებზე ხშირია და ეს ღუპავს ჩვენ გზებს. დროა მიიღოთ სასტიკი ზომები ლოთობის წინაამდეგ და ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრათ იგი.

მუშკორი—მექვაბე.

პარტიული ცხოვრება

ამიერ-კავკასიის საოლქო-საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიისაგან

ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიაში შედის პარტიის წევრების მრავალრიცხოვანი განცხადებები, რომელშიაც ისინი ასაჩივრებენ ადგილობრივი პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებებს და აღნიშნავენ ცალკე კომუნისტების უკანონო მოქმედებას.

ეს განცხადებები იგზავნება პირდაპირ ამიერკ.-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიაში, ნამდვილათ კი ისინი ჯერ შეტანილი უნდა იქნეს რესპუბლიკანურ ცენტრალურ საკონტროლო კომისიებში. ა | კ. საოლქო საკონტროლო კომისიის პარტკოლეგია იძულებულია ეს განცხადებები დასკვნისათვის გაუგზავნოს სათანადო რესპუბლიკების ცენტრალურ საკონტროლო კომისიებს, რაც ზედმეტ მიწერ-მოწერას ჰქმნის და აჭიანურებს ამხანაგების საქმის გადაწყვეტას.

ადასტურებს რა, რომ თვითეულ კომუნისტს უფლება აქვს უშუალოთ მიმართოს ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიასაც, პარტიული კოლეგია. ამასთანავე სთხოვს ყველა კანდიდატებს და პარტიის წევრებს თავისი განცხადებები და საჩივრები კომუნისტების უკანონო მოქმედებაზე და საბჭოთა აპარატის ნაკლულოვანებებზე საქმეების უფრო დაჩქარებით გარჩევის მიზნით გაგზავნონ რესპუბლიკების ცენტრალურ საკონტროლო კომისიებში და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი არ ეთანხმებიან მათ გადაწყვეტილებებს, აპელაციით (თხოვნა გადასინჯვის შესახებ) მიმართონ ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიას (თბილისი).

ამასთანავე პარტკოლეგია აცხადებს, რომ უსახელო განცხადებებს ის არ არჩევს.

ა | კ. ს.ს.კ. პარტკოლეგია.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ს. ძიმითის კომკავშირის უჯრედი

ზემოხსენებული უჯრედი არსებობს 1621 წლიდან. ამ ჟამად ეს უჯრედი აერთიანებს 20 წევრს და კანდიდატს. მართალია, ამ ბოლო ხანებში უჯრედში დისციპლინა საგრძნობლად მოისუსტებდა, მაგრამ დღეს უჯრედის ყველა წევრები დიდ ენერგიულობას იჩენენ და მუშაობაც სასურველად მიმდინარეობს. რამდენიმე დღის წინეთ შესდგა კომკავშირის და კომუჯრედის მორიგი ღია კრება, რომელსაც დაესწრო უპარტიო ახალგაზრდობაც. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: ს. ძიმითის კოოპერატივის გამგეობის მუშაობის ანგარიში და მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

პირველ საკითხზე გაკეთებულ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კოოპერატივი ადგილობრივ მცხოვრების მოთხოვნილებას სოფლის მასშტაბით სავსებით აკმაყოფილებს, მაგრამ, რადგანაც მთელს თემში მხოლოდ ერთი კოოპერატივია, 600-დე კომლის მოთხოვნილება რჩება დაუკმაყოფილებელი. ამ საკითხის ირგვლივ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. კამათში მონაწილე ამხანაგები აღნიშნავდენ გამგეობის მიერ დაშვებულ შეცდომებს და მიუთითებდენ მთელ რიგ იმ ღონისძიებებზედ, რომლებითაც შესაძლებელი უნდა გახდეს კოოპერატივის მუშაობის გამოცხოველება.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. პ. კილაძემ, რომელიც უმთავრესად შეეხო იაპონიისა და საბჭოთა კავშირს შორის დადებულ ხელშეკრულებას, ინგლისის კონსერვატორების ხროვებს „ზინოვიევის“ წერილის გარშემო და დასასრულ ხაზი გაუსვა ჩვენს მრეწველობას და სასოფლო-მეურნეობას, რომლებიც სწრაფი ტემპით იწყებენ განვითარებას მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის შეერთებული ძალღონით.

ახკორი პ. ქ—ძე.

ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის ცხოვრებიდან

პიონერთა ორგანიზაციების ჩამოყალიბებისათვის სოფლად

რომ ჩვენში პიონერთა კოლექტივები მრავლდება და იზრდება—ეს ყველასათვის ცხადია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ზრდას უმთავრესად ჩვენ ვამჩნევთ მსხვილ საქალაქო ცენტრებში, ხოლო ზოგიერთ მაზრებში და განსაკუთრებით სოფლებში კი სრულებით ვერ ვნახავთ ბავშვთა ორგანიზაციებს და ახალგაზრდობაც ჩამოუყალიბებელია. მიზეზი ასეთი მდგომარეობისა არის არა ის, რომ თითქოს სოფლის ბავშვები არ იყვნენ დაინტერესებული პიონერთა მოძრაობით, არამედ ის, რომ ხელმძღვანელ ძალების უყოლობა მეტად ხელს უშლის ბავშვთა კოლექტივების მოწყობას სოფლად.

პარტიის მე-13 ყრილობის მიერ გადმოსროლილი ლოზუნგი: „პირით ვიბრუნოთ სოფლისაკენ“ მოითხოვს, რომ საქართველოს ლენ. ბავშვთა კომ. ორგან. ცენტრალურმა ბიურომ ამას იაქციოს განსაკუთრებული ყურადღება.

თუ პიონერთა ძლიერ ორგანიზაციებს ჩვენ ვხედავთ თბილისში, უნდა ვეცადოთ, რომ სოფლებშიც საფუძველი ჩაუყაროთ ასეთ ორგანიზაციებს.

მართალია, პიონერთა მოძრაობას საქართველოში აქვს მხოლოდ ორი წლის ისტორია და ამ ხნის განმავლობაში შეუძლებელი იყო სოფლების კოლექტივებით მოფენა, ვინაიდან არ მოგვეპოვებოდა საკმაო რიცხვი მომზადებულ ძალებისა, მაგრამ დღეს როდესაც ასეთები უკვე გვყავს, აუცილებელია ცენტრმა ინსტრუქტორები გადაგზავნოს მაზრებში სამუშაოდ.

ა. მღვიმიშვილი

ამხ. დათიკო ციმაკურიძის ხსოვნას

ამას წინად შესრულდა სამი წელი, რაც დავკარგეთ ენერგიით და უშრეტელი და რევოლიუციისათვის თავდადებული მუშა, ამხანაგი დათიკო ციმაკურიძე.

ამხ. დათიკო გავიცანი 1903 წელში, როცა მე ზეინკლის თანაშემწეთ ვიყავი. ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი რ. ს. დ. მ. პ. განხეთქილება მაგრამ, როცა მოხდა განხეთქილება ამხ. დათიკო მიემხრო მეუმრავლესეთა (ბოლშევიკების) ფრაქციას.

ის ეკუთვნის იმ შეუმჩნეველ გმირებს, რომლებიც ბევრნი არიან ჩვენს რიგებში. ამხ. დათიკო საუკეთესო ჩუმი კონსპირატორი მომუშავე იყო მას მუდამ სახიფათო საქმეებს ავალებდენ, რომლებსაც ის პირნათლად ასრულებდა, რაც კარგად იციან ძველი რევოლიუციონერ მუშებმა.

მისთვის არ არსებობდა პირადი საკითხი და ვერც წარმოედგინა, თუ შეიძლებოდა ამის შესახებ გაკვრითაც ფიქრი, რის გამოც მისი ცოლ-შვილი მუდმივ გაჭირვებას განიცდიდა. ხშირად მეტყოდა „რა ჩვენი საქმეა ცოლ-შვილი, ოჯახის საქმეს, რომ ხელი მოვკიდოთ ერთი საათის დროს ვერ ვიზოვნით ჩვენი რევოლიუციონური საქმისათვის და ეს ხომ ღალატი გამოვა. არა, ისევ ისა სჯობია, რომ მოღალატე გამოვიდე ჩემი ცოლ-შვილისა, თუ ეს ღალატათ ჩაითვლება, ვინემ მუშური საქმის მოღალატე“.

ამხანაგი დათიკო მენშევიკური ხელისუფლების დროს ბევრჯელ იყო დატუსაღებული, მაგრამ მას როგორც ძველს კონსპირატორს ვერას დროს საბუთს ვერ უპოვიდნენ რა მენშევიკები იძულებული იყვნენ ის გაენთავისუფლებინათ.

როდესაც მოხდა საქართველოს გასაბჭოება, ამხ. დათიკო დაიტვირთა აუარებელი სამუშაობებით.

1921 წელს „ზაკტპოს“ მიერ ამხ. დათიკო მივლინებული იქნა მოსკოვში. მას დავალებული ჰქონდა მოსკოვის მუშებისთვის საჩუქრად გადაეცა ერთი მარშრუტი მატარებელი დატვირთული ღვინით. ამხ. დათიკო სიხარულით ფეხზედ აღარ იდგა. მოსკოვში გამგზავრებისას ის ამბობდა:

„მოსკოვში ბევრჯერ ვყოფილვარ, მაგრამ ეხლა ჩემი იქ წასვლას სულ სხვა მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან საქართველოს განთავისუფლებისათვის მადლობის სახით მიმაქვს საქართველოს პროლეტარიატის სახელით მცირე საჩუქარი, რაც მათაც გულს გაუმხნევებსო“.

აი სწორედ ამხ. დათიკო დავკარგეთ ამ წმინდა მოვალეობის ასრულების დროს. ის გზაში გაცივდა და დაუნდობელმა ტიფმა გამოგვტაცა ჩვენ საყვარელი და თავდადებული მებრძოლი.

ფ. ჯიჯილავა.

წითელ ჯარში

ერთმმართველობა წითელ არმიაში

საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს ბრძანება.

მოსკოვი, 16 მარტი. წითელ არმიაში ერთმართველობის პრინციპის უფრო სისრულით განხორციელების მიზნით, საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭომ 2 მარტის ბრძანებით საჭიროთ სცნო, რომ კომანდირების და უფროსების ხელში თავს იყრიდეს სამწყობრო, ადმინისტრატიული და სამეურნეო ფუნქციები. ამის გამო გაცემულია შემდეგი განკარგულება:

განთავისუფლებული იქნეს წითელი არმიის მთელი საკომისრო შემადგენლობა კომანდირების და უფროსების სამწყობრო, ადმინისტრატიული და სამეურნეო მუშაობის ყოველდღიური კონტროლისაგან, სამხედრო კომისრებს ეკისრებოდეს სავსებით პარტიული და პოლიტიკური ხელმძღვანელობის ფუნქციები და პასუხისმგებლობა კომანდირთან ერთად ჯარის ნაწილის მორალურ-პოლიტიკური მდგომარეობისათვის.

ბრძანებით კომისრებს უფლება აქვთ გასცენ პირადი ბრძანებები პოლიტიკური ხაზით. კომანდირები და უფროსები ვალდებული არიან ცნობებს აწვდიდენ კომისრებს ნაწილის მთელი სამწყობრო და ადმინისტრატიულ-სამეურნეო ცხოვრების შესახებ.

სამხედრო კომისრებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ კომანდირების და უფროსების განკარგულებანი, მაგრამ არ უნდა შეაჩერონ მათი შესრულება, ძათ არ ერთმევათ დისციპლინარული სასჯელის მისჯის უფლება.

ბეჭდები და შიფრები უნდა ინახებოდენ შტაბის უფროსებთან, ხოლო იმ ნაწილებში, სადაც ასეთები არ არიან, კომანდირებთან და უფროსებთან.

წითელი ფლოტის და ნაციონალური ნაწილების სამხედრო კომისრებს რჩებათ მათი წინანდელი ფუნქციები, სანამ შემუშავებული იქნებოდეს „დებულება წითელი არმიის და ფლოტის კომისართა შესახებ“.

ეკონომიური ცხოვრება

საკავშირო სახელმწიფო ბანკის ა.|კ. საოლქო კანტორის მუშაობა

საოლქო კანტორის მუშაობა მიმდინარე სამეურნეო წლის პირველი მეოთხედის განმავლობაში ხასიათდება უმთავრესად გაცემულ კრედიტების რაოდენობის ზრდით და კანტორის საკუთარი კაპიტალის საგრძნობლათ გადიდებით. კანტორის საკრედიტო მუშაობის განვითარება შესაძლებელი გახდა საბრუნავი კაპიტალის გაფართოების წყალობით. ბუნებრივია, რომ გაცემული კრედიტების გადიდებამ გავლენა იქონია კანტორის ბალანსის ჯამზე. მაგალითად, კანტორის ბალანსი, რომელიც 1924 წ. 1 ოქტომბერს უდრიდა 7,7 მილ. მანეთს, 1925 წლის 1 იანვრისათვის აღწევდა 14,6 მილ. მანეთს, ე. ი. გაიზარდა 81 პროცენტით.

მთელი ამ მეოთხედის განმავლობაში საშუალებების უდიდესი ნაწილი მოხმარდა სახალხო მეურნეობისათვის კრედიტების მიწოდებას. სხვა და დანარჩენ ოპერაციებს ხმარდებოდა კანტორის საშუალებათა უმნიშვნელო ნაწილი, სახელმწიფო ბანკმა საგრძნობი თანხა მოახმარა აგრეთვე ამიერ-კავკასიის პურით მომარაგების საქმეს.

გაცემულ კრედიტების საერთო ჯამი ამ მეოთხედის განმავლობაში ორზე მეტჯერ გაიზარდა. კრედიტების განაწილების მხრივ პირველი ადგილი უჭირავს კოოპერაციას, რომელმაც ამ მეოთხედის განმავლობაში მიიღო კრედიტების ყველაზე მეტი ნაწილი.

რაც შეეხება კრედიტების განაწილებას სახალხო მეურნეობის დარგებს შორის, აქ ადგილი აქვს იმ თანხების ზრდას, რომელიც მისცა ბანკმა ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტს.

პასივში ყურადღებას იპყრობს საბრუნავი კაპიტალის ზრდა. წლის ამ მეოთხედის განმავლობაში გადიდებულია როგორც კანტორის საერთო კაპიტალი, ისე ის კაპიტალიც, რომელიც გადადებული იყო ა.-კ. საბამბო კომიტეტისათვის ფინანსების მისაწოდებლად. საერთოდ კანტორის კაპიტალი, რომელიც 1924 წლის 1 ოქტომბერს უდრიდა 3,6 მილ. მანეთს, 1925 წ. 1 იანვრისათვის გაიზარდა 10 მილ. მანეთამდე.

ამასთან ერთად გაუმჯობესდა აგრეთვე მიმდინარე ანგარიშების მდგომარეობა. მიმდინარე ანგარიშები 1 ოქტომბერთან შედარებით გაიზარდა 1 იანვრისათვის 50 პროცენტით. მაშასადამე, როცა ვახასიათებთ სახელმწიფო ბანკის ა.-კ. საოლქო კანტორის მუშაობას მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ მეოთხედის განმავლობაში, უნდა აღვნიშნოთ კანტორის მიერ გაცემული კრედიტების საგრძნობი ზრდა. რაც შეეხება საშუალებებს, ამ ხნის განმავლობაში საგრძნობლად გაფართოვდა კანტორის საბრუნავი კაპიტალი და გადიდდა მიმდინარე ანგარიშები.

ქრონიკა

— **მიწად-მოქ. სახ. კომისარიატი** ლანჩხუთში აგზავნის თავის ტეხნიკს ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო სკოლის ასაგებ შენობის პროექტის შესადგენათ.

— **უმუშევარ ხელზე მოსამსახურეთა** კოლექტივი ყოფ. რესტორან „შამპანში“. ხსნის სასადილოს.

— **სატყეო მრეწველობა.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილებამ სვანეთში გაგზავნა სპეციალისტები, რომლებმაც უნდა გამოიკვლიონ ენგურის ხეობის ტყეები საქ. სატყეო მრეწველობისთვის ვადასაცემათ.

— **მინდვრის მავნეებთან ბრძოლა.** საკავშირო მთავრობამ მინდვრის მავნეებთან ბრძოლის საწარმოებლათ ამიერ-კავკასიას გადასცა 27,500 მან.

— ა | კ. მებამბეობის კომიტეტმა საქართველოში მებამბეობის საცდელ-საჩვენებელ მინდვრების მოსაწყობათ გადასდო 6.000 მან.

— **სანიტ-განათლების** მიზნით დღეს ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში გაიმართება მკითხავისა და ექიმბაშის საჯარო გასამართლება. დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

— **თბ. ქართულ ბიბლიოთეკართა** გაერთიანების საორგანიზაციო კომისია 19 მარტს იწვევს ბიბლიოთეკართა საერთო კრებას განათლების მუშაკთა სახლში.

— **გლეხთა ცენტრალურ** სახლში ამ დღეებში გაიხსნება სამხედრო განათლების კუთხე.

— **ყრუ-მუნჯთა საზოგადოება.** თბილისში დაარსდა ყრუ-მუნჯთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოება.

— **მწვევამდელები.** განზრახულია მწვევამდელების მოხსნა სამსახურიდან ჯამაგირის შენახვით სამხედრო ნაწილებში სავარჯიშოთ.

— **ერთეულ მუშების** დასაზღვევ პირობების გამოსამუშავებლათ თბ. დამზღვევ კასამ შეადგინა ცალკე კომისია.

— **ფ.-ტელეგრაფის სახალხო კო**მისარიატმა დაადგინა ტელეგრაფის მავთულები გამოყენებული იქნას სატელეფონო კავშირისთვისაც.

— **ავადმყოფ დაზღვეულებს** დახმარების სახით თებერვალში დამზღვევ სალარომ მისცა 54.020 მან.

— **ტრამვაის სამმართველო** შეუდგა ტრამვაის პარკთან ქვიშის შესანახ შენობის აგებას.

— **ქ. სასაკლაოზე** თებერვალში დაიკლა 7,022 სული საქონელი.

— **უმუშევართა აღრიცხვა.** 19, 20 და 21 მარტს მოხდება დაზღვეულ უმუშევართაგან დასაზღვევ თეთრი ფურცლების მიღება ყველა სექციებში.

— **ტრამვაის ახალი ლიანდაგი.** ტრამვაის სამმართველო შეუდგა პასაჟ კროშკას ქუჩაზე ტრამვაის ახალი ხაზის გაყვანას.

— **ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებაში** დღეს, სამშაბათს, საღამოს 8 საათზე საქართვ. მუზეუმის სააუდიტორიო დარბაზში საზოგადოების მორიგ საჯარო სხდომაზე წაკითხულ იქნება მოხსენებები: 1. ზინო სილიკაშვილის მიერ: „ქართველ უდინთა ადერბეიჯანიდან საქართველოში გადმოსახლების ისტორია“ და 2. სვ. ყაუხჩიშვილის მიერ: „რომაული და ბერძნული საკუთარი სახელების გადმოცემისათვის ქართულში“. შესვლა თავისუფალია.

ხელოვნება

— **ზაქარია ფალიაშვილის იუბილე.** მიმდინარე წელს შესრულდა ოცდა ათი წელიწადი კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის არტისტიული და საზოგადო მოღვაწეობისა. ამის გამო სახალხო კომისარიატთან არსებულ ხელოვნების მთავარ საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ საიუბილეო ზეიმი გადახდილ იქნეს 12 აპრილს ტფილისის აკადემიურ საოპერო თეატრში.

— მოჯირითე ვანო ხუბაძემ დიდი სახელი გაითქვა საფრანგეთში. ამ ჟამად ის დიდი წარმატებით თამაშობს პარიზის ერთ-ერთ უდიდეს ცირკში.

— ვიქტოროვის გასტროლი. დღეს, ოპერის თეატრში ვიქ. ვიქტოროვის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ჰუგენოტები“.

— როსტოვის სომხური მუსიკალური კომედიის კოლექტივის გასტროლები ახალ კლუბში დაიწყება 19 მარტიდან.

— მუშათა ცენტრალურ კლუბში დღეს დამსახურებულ მსახიობის ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით გაიმართება წარმოდგენა.

— პარიზის კომუნის დღე 18 მარტს, წითელარმიელთა კლუბში გაიმართება დიდი სალამო შესაფერი პროგრამით.

დღეს კინოებში

— ოაზის—„იყურე მწუხარებაშ იყურე“.
— არფასტო—„ნაპოლეონის შიკრიკი“.
— მინიონ—„პაპიროსების გამყიდავი ქალი“.
— პალას—„მუცლის მოშლა“.
— აპოლო—„ფული და სიყვარული“.
— სოლეი—„პაპიროსების გამყიდავი ქალი“.
— აისი—„ნახტომი ცხოვრებისაკენ“.

ამინდი ამიერ-კავკასიაში

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიაში მოსული ცნობებით 16 მარტს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში იდგა შემდეგი დარები:

ფოთი. ზღვაზე მსუბუქი მღელვარება, ნათელი დღე, წინა ღამით სწვიმდა, სითბო-4 გრადუსი.

ბორჯომი. მოღრუბლული დღე, წინა დღით და საღამოთი სთოვდა. ყინვა 1 გრადუსი.

გორი. მოღრუბლული ამინდი, ქრის დასავლეთის მსუბუქი ქარი, სითბო 1 გრადუსი.

თბილისი. მოწმენდილი ამინდი, ქრის ჩრდილოეთის სუსტი ქარი, გუშინ წინ დილით სწვიმდა, სითბო 4 გრადუსი.

ბაქო. ქრის ჩრდილოეთის ძლიერი ქარი. მოღრუბლული დღე, ზღვაზე ზომიერი ღელვაა.

ტემპერატურა უკანასკნელი ცნობებით

ფოთი. ცელსიუსი სითბო 4 გრად.
ბორჯომი. „ ყინვა 1 გრად.
გორი. „ სითბო 1 გრად.
თბილისი. „ სითბო 4 გრად.
ბაქო. „ სითბო 5 გრად

შ ე მ თ ხ ვ ე ვ ე ბ ი

რამდენიმე დღის წინ გამასწორებელ სახლში № 1 (ორთაჭალა) მოჰკლეს პატიმარი ტერ-მკრტიჩიანცი, ხოლო სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომელს, რომელიც აწარმოებდა გამოძიებას, გამასწორებელ სახლის პატიმრებმა განუცხადეს, რომ ტერ-მკრტიჩიანცმა თვითონ მოიკლა თავი.

ამის შემდეგ მოხდა მოკლულის გვამის შემოწმება, რამაც გამოარკვია, რომ ვერსია თვითმკვლელობის შესახებ არ შეეფერება სინამდვილეს და რომ ტერ-მკრტიჩიანცი გახდა მსხვერპლი გამოუცნობი მკვლელის, რომელმაც ტერ-მკირტიჩიანცს ჩასცა გულში დანა 25 სანტიმეტრის სიღრმით. პირველმა გამოძიებამ ვერავითარი შედეგები მოიტანა, მაგრამ რაიონულ გამომძიებლის მიერ მიღებული ენერგიული ზომების წყალობით შესაძლებელი გახდა საქმის ნამდვილი ვითარების გამომჟღავნება.

ამ საბედისწერო დღეს კამერაში პატიმრები თამაშობდენ კამათელს (ზაიბურთი). იმ დროს, როცა არაყით საშინლად დამთვრალმა ტუსაღმა აკოპოვმა მოიგო ფული, მასთან მივიდა მეორე პატიმარი თვარიაშვილი, რომელმაც მას სთხოვა პროცენტები. როცა აკოპოვმა ამაზე უარი უთხრა, თვარიაშვილმა მას გაარტყა თავი სახეში. გონება დაკარგულმა აკოპოვმა ამოიღო დანა და გაედევნა თვარიაშვილს. როცა ეს დაინახა ტერ-მკრტიჩიანცმა (აკოპოვის ცოლის ძმა), ხვეწნით გადაუდგა წინ და უნდოდა არ გაეშვა. აკოპოვმა რამოდენიმეჯერ წინადადება მისცა თავის ცოლის ძმას, რომ გაეშვა ის მაგრამ მკრტიჩიანცი არაფრის გულისათვის არ უშვებდა. მაშინ აკოპოვმა ეს ამოშიშვლებული დანა ჩასცა გულში ტერ-მკრტიჩიანცს, რომელიც იქვე გარდაიცვალა.

ფ.

ხიზალალას „გმირი“

ჯერ კიდევ დიდი ხნის წინად, თბილისში თევზით მოვაჭრეებს შორის სახელგანთქმული იყო ვინმე ოსიპ. ოსიპოვი—ყარაჩოღელი მიქეიფე.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მისი საქმეები ცუდათ წავიდა და ოსიპოვი, თავის შვილებთან ერთად, იძულებული იყო ეძებნა არსებობის წყაროები. შემოსავალი, რომელსაც ის იღებდა დუქნიდან, შესამჩნევად შემცირდა.

უფროსმა შვილმა, სერგო ოსიპოვმა, გახსნა თევზის მაღაზია, მაგრამ შემდეგ აირჩია საქმის მოსპობა და თევზის საქმის სპეცათ შევიდა აზერბეიჯანის თევზის სამმართველოს თბილისის განყოფილებაში.

რასაკვირველია, სერგო ოსიპოვს,—საბჭოთა მოსამსახურის,—შემოსავალი არ აკმაყოფილებდა მაგრამ დიდხანს არ მოუხდა მას თავის ბედისათვის სამდურავის გზავნა. ახლო მომავალში მას მოელოდა დიდი შემოსავალი.

სერგო ოსიპოვმა საიდღანღაც გაიგო, რომ კოოპერატიულ ორგანიზაციას „ВПО Боец ККА“ სჭირდება ხიზილალა და იკისრა მისთვის „სამსახურის“ გაწევა.

24 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში, დამზადების განყოფილების გამგემ—შახბაზოვმა სავაჭრო აგენტთან ერთად მოლაპარაკება დაიწყეს „აზრიბის“ წარმომადგენელთან სერგო ოსიპოვთან 10 კასრა ხიზილალას შესყიდვის შესახებ 85 მან. ფუთი ფრანკო-კოოპერატივის საწყობი.

ოსიპოვმა დაუყონებლივ მიაწოდა კოოპერატივს ხიზილალას ეს რაოდენობა და მიიღო ნაღდი ფული 365 მან. და ორი თამასუქი 3,800 მან.

ხიზალალა მიიტანეს საწყობში, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქვედა ფენა არ შეეფერება წინასწარ მიტანილ ნიმუშ და მხოლოდ ზევიდან იყო კარგი ხიზილალას თხელი ფენა. გამოიწვიეს სანიტარული ექიმი, რომელმაც შეამოწმა ხიზილალა და გამოარკვია, რომ ის უვარგისია და სახმარებლათ არვარგა.

სერგო ოსიპოვმა ეს ხიზილალა წაიღო „სპეც“ ასრატოვთან, რომლის დახმარებით ჩაურთა ხიზილალაში ცხელი ჩაი და ხელ-ახლა მიიტანა კოოპერატივში.

გამოწვეული იქნა ისევ სანიტარული ექიმი, რომელმაც ხიზილალა ხელმეორეთ უვარგისათ სცნო.

ოსიპოვი დააპატიმრეს.

ეხლა ოსიპოვი „საუკეთესო“ ღირსების ხიზალალას გასაღებისათვის მოთავსებულია მეტეხში.

ფიდო.

წერილები პროვინციიდან

სოფ. ქედისუბანი

(რაჭის მაზრა)

სოფ. ქედისუბანი არც ეკონომიური და არც კულტურული მდგომარეობის მხრივ სახარბიელ მდგომარეობაში არ ყოფილა, მაგრამ აქაც შეაშუქა ახალი ცხოვრების ბრწყინვალე შუქმა. სულ მოკლე ხანში მოწინავე გლეხობის ენერგიული მუშაობით აგებულ იქნა ოთხწლედი სკოლისათვის ახალი შენობა (ძველის მაგივრად), გაიხსნა ქოხ-სამკითხველო, რომელიც იღებს რამოდენიმე ცალ გაზეთს, იმართება წარმოდგენები, საუბრები და სხვა. ყველა ამაში ენერგიულ მონაწილეობას იღებს სოფლის ახალგაზრდობა და მასწავლებლები გ. ბოჭორიშვილი და კ. ბაკურაძე.

სოფელში არ არსებობს არც პარტუჯრედი და არც კომ-კავშირის უჯრედი; საჭიროა კი დაარსდეს.

გლეხი ენ. ბიგამაძე.

მადლობა დახმარებისათვის

ბოსლევის თემი (შორაპნის მაზრა)

ამხ. რედაქტორო! ნება მომეცით თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომლებიც ხელმძღვანელობენ და რომლებმაც კეთილ ინებეს და 7 წლედ. სკოლის ფანჯრების და აივნის შესაკეთებლათ გამოიღეს ნება-ყოფლობით თავიანთი წვლილი. აი მათი სია:

1. ალ. ი. მახათაძემ 3 მანეთი, 2. ლავრენტი კახნიაშვილმა 2 მან., 3. ბეგ. ჭუმბურიძემ 2. მ., 4. ვარ. თ. ჭუმბურიძემ 1 მ., 5. ალექ. ჭუმბურიძემ 1 მ., 6. ილ. კახნიაშვილმა 1 მან., 7. არჩილ ჭუმბურიძემ 1 მან. 8. ჯიბო ჭუმბურიძემ 1 მ., 9. მიხ. აბრამიშვილი 1 მ., 10. სიმ. ბუაძემ 1 მ., 11. რაჟ. ჭუმბურიძემ 1 მან., 12. სვიმონ პარ. ჭუმბურიძემ 1 მან., 13. გერმ. მჭედლიძემ 1 მ., 14. ყარამან მახათაძემ 1 მ., 15. მირიან ჭუმბურიძემ 1 მან. 16. სერგო ჭანკოტაძემ 1 მ., 17. თეიმურაზ მახათაძემ 1 მან., 18. ლუკა მჭედლიძემ 1 მ., 19. ალექ. ტალახაძემ 1 მ., 20. ივანე გაჩეჩილაძემ 1 მ., 21. გერასიმე ჭუმბურიძემ 50 კ., 22. პლატონ აბრამიშვილმა 35 კ.

ვუსურვებ ხელმძღვანელებს, კიდევ გაორკეცებულ მუშაობას და ვსთხოვთ აგრეთვე ამ სოფლის დანარჩენ მოქალაქეებს მიჰბაძონ ზემოთ ჩამოთვლილ პირების მაგალითს.

ბიქ. კაპანაძე.

ი შ ვ ი ა თ ი ზ ე ი მ ი

ს. მათხოჯი (ქუთაისის მაზრა)

8 მარტი მათხოჯის გლეხობისათვის ისტორიული დღეა. ამ დღეს ჩვენს გლეხობას ესტუმრა იშვიათი სტუმარი, საკავშირო რესპუბლიკების უზენაესი ორგანოს ხელმძღვანელი ამხ. **კალინინი.** ძვირფას სტუმარს თან ახლდნენ საქართველოს პარტიული ორგანიზაციების და მთავრობის წარმომადგენელნი ამხ. ამხ. ფილიპე მახარაძე, ვანო სტურუა, სილვა თოდრია და სხვები. სტუმრები დასახვედრათ ხალხი დილიდანვე თავს იყრის დამწვარ სახ. სახლთან. ფრიალებენ წითელი დროშები.

ზღვა ხალხს კიდევ აუარებელი ხალხი ემატება. ადგილობრივ ხალხს უერთდებიან სხვადასხვა თემებიდან და სოფლებიდან მოსული ამხანაგები. მოსჩანს მწყობრად ჩამწკრივებული უთვალავი რიცხვი მოწაფეთა—ყველა მოუთმენლად უცდის სტუმრების გამოჩენას. საღამოს ჟამია, ბინდდება. შორიდან მოსჩანან ავტომობილები. კიდევ რამოდენიმე წუთი და გაისმის დაუსრულებელი ტაში, „ვაშა“, „გაუმარჯოს ამხ. კალინინს“. და სხ. იწყება ზეიმი. სტუმრები ადიან ტრიბუნაზე მიტინგს ხსნის სახ. სახლის საალმშენებლო საბჭოს თავმჯდომარე ვარლამ ძიძიგური. შემდეგ ლაპარაკობენ ადგილობრივი გლეხები. უხსნიან სტუმრებს თავიანთ უბედურებას და ითხოვენ მთავრობისაგან დახმარებას. საზოგადოებას მხურვალე სიტყვით მიმართავს ამხ. კალინინი. გრიალებს ტაში, ისმის „ურა“, ამხ. კალინინი აღუთქვამს გლეხობას დახმარების აღმოჩენას. ტაში და ოვაციები. შემდეგი სიტყვებით გამოდიან ამხ. მახარაძე და ამხ. ვანო სტურუა. ყველანი შეწუხებული არიან მშრომელი გლეხობის ასე უეცარი დაზარალებით და პირდებიან დახმარებას. საზოგადოება მხურვალე ტაშით ფარავს სტუმრების სიტყვებს. მეორე დღეს დილით ამხ. კალინინი დანარჩენ სტუმრების თანხლებით ნახულობს მათხოჯის ზედა კუთხეში მდ. ცხენის წყალის ნაპირებს (რომელიც მოითხოვს გამაგრებას სოფლის ნაპირთან) და შემდეგ გაემგზავრენ ქ. ხონისაკენ. მთელი ხალხი ქუჩაშია—ისმის ვაშა, მქუხარე ტაში და ოვაციები.

შალვა დურგლიშვილი.

საჭიროა დახმარება

(ლეჩხუმის მაზრა)

ქვიშის თემის სოფელ შუა ქვიშის მცხოვრებნი, განიცდიან დიდ გაჭირვებას წყლის უქონლობის გამო. მცხოვრებთ უხდებათ წყლის მოზიდვა მხარით ნახევარი ვერსის მანძილიდან. თუმცა მოეპოვებათ წყალი, მაგრამ წელიწადში ორ თვეში თუ გამოდის, ისიც მაშინ, როდესაც დიდი ზამთარი არის და დანარჩენ თვეებში კი უწყლოთ არის ეს სოფელი. საჭიროა მაზრა აღძრავდეს შუამდგომლობას ცენტრთან, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ გლეხობას მისცეს დახმარება მილებით, და იხსნას გლეხები ამ დიდი გაჭირვებიდან.

გლეხისშვილი.

სახელმწიფო თეატრო მოხედე ჩამორჩენილ კუთხეს

ქალაქ დუშეთში არსებობს ერთი მუშათა კლუბი, სადაც მიმდინარეობს კულტურული მუშაობა, წარმოდგენებს სდგამს ადგილობრივი დრამატიული წრე. რაც ძლიერ აბრკოლებს თეატრალულ მუშაობის წინსვლას—ის რომ თეატრს არ მოეპოვება დეკორაციები, პარიკები და ტანთსაცმელი.

თუ სხვადასხვა ცენტრალური დაწესებულებები, წარმოებები და პარტიული ორგანიზაციები ღებულობენ კულტურულ და ეკონომიურ მეთვალყურეობას, შეფობას სოფლებზე, სასურველია ასეთი ყურადღება იქნეს მიქცეული ცენტრალურ სახელმწიფო თეატრის მიერ და ისიც გაეცნოს და დაუახლოვდეს ჩამორჩენილ ხალხის ყოფა-ცხოვრებას, რის შემდეგ ჩამორჩენილ კუთხის ხალხს ექნება წარმოდგენა თეატრალურ ხელოვნების მნიშვნელობაზე. უპირველესათ ქ. დუშეთის ჩამორჩენილი ხალხი და დრამ-წრე სთხოვს სახელმწიფო თეატრს აღმოუჩინოს დახმარება შემდეგით: ძველი დეკორაციები და ტანთსაცმელი, რომელიც მას არ ესაჭიროება გადმოსცეს დუშეთის თეატრს, ეს კი დუშეთის თეატრისათვის იქნება დაუფასებელი განძი. გამოვსვათ იმედს რომ არ ვიქნებით უყურადღებოდ დატოვებული და სახელმწიფოს თეატრის მუშაობა იქნება გადმოტანილი სოფლადაც, შეფობის სახით.

ს. ნამორაძე.

გლეხკომო გახსენი წითელი სასადილო

მცხეთაში კარგა ხანია რაც არსებობს გლეხთა დამხმარე კომიტეტი, მაგრამ საუბედუროთ მისი მუშაობა არ არის თვალჩენილი, მშრომელი გლეხობისა და მუშა-მოსამსახურის მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი. რამოდენიმეჯერ მიმართეს ხსენებულ გლეხკომს, რათა გაეხსნა წითელი სასადილო და ეხსნა სამიკიტნო-რესტორანების პატრონებისაგან მშრომელი მასა. ყველას კარგად მოეხსენება თუ როგორ გაამრავლა მუშათა რიცხვი ზაჰესმა სოფ. მცხეთაში. ხშირად დამთვრალ მოსამსახურეს ქუჩაში სძინავს და საშიშია გაუნათებელ ქუჩაში მიმავალმა ურმებმა არ დააშავოს. ყველა ამას მოეღება ბოლო, როდესაც იქნება გახსნილი წითელი სასადილო.

წყნარი.

პროვინციის ქრონიკა

— **ლიახვის ნაპირების გამაგრება.** სამხრეთ ოსეთის ცაკმა დაადგინა ახლო ხანში შეუდგეს ლიახვის ნაპირების გამაგრებას.

— **სიღნაღში** ახლო-ხანში გაიმართება მასწავლებელ ბენია მირიანაშვილის იუბილე, მისი სამასწავლებლო ასპარეზზე 4 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად.

— **გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა.** ქ. ცხინვალში განზრახულია ახლო ხანში გაიხსნას გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა.

— **დუშეთის აღმახკომმა** გადასწყვიტა ადგილობრივ საბავშვო სახლისათვის შეიძინოს ტანისამოსი და საწოლები.

— **წიგნის მაღაზია.** ახლო ხანში დუშეთში გაიხსნება განათლების განყოფილების წიგნის მაღაზია.

— **ცხინვალის** მთლიანმა მომხმარებელმა საზოგადოებამ გადასწყვიტა გახსნას ცხინვალში წითელი სასადილო.

— **წყალდიდობასთან საბრძოლველათ** დუშეთის მაზრაში დაარსდა წყალდიდობასთან მებრძოლი კომიტეტი.

— **ძველ სენაკში.** სენაკის აღმასკომმა თავის ხარჯზე აიყვანა ერთი ექიმი ძველი-სენაკის საექიმო პუნქტეს გამგეთ.

— **მერძევეთა არტელები.** ახალქალაქის მაზრის მერძევე გლეხებმა გადასწყვიტეს დაარსონ მერძევეთა არტელები.

— **ცეკავშირი.** ამ ჟამად სამტრედიაში ამზადებს სიმინდს. გლეხებისაგან ფუთ სიმინდს იძენს 85 კაპ.

— **ახალციხის** საავადმყოფოსთან ამ დღეებში გაიხსნება ქალთა სნეულების განყოფილება.

— **საქონლის ჭირი.** სოფ. შრომაში (ყოფ. ვაჩნაძიანი, თელავის მაზრა) გაჩნდა საქონლის ჭირი, რომლის წინააღმდეგ მიღებულია ზომები.

— **ბორჩალოში** მოეწყო მებამბეობის საჩვენებელი მინდვრები.

— **ჭირის წინააღმდეგ** სოფ. გუგულაში (თელავის მაზრა) აუცრეს 1000 მეტ სულ საქონელს.

ჩვენი ფოსტა

სოფ. ხუნევი. ვ. გოგოლაძეს. გვაცნობეთ რა მიზნისათვის გამოგზავნეთ 18 მანეთი.

პარტიული და საბჭოთა ქალენდარი

პ ა რ ტ ი უ ლ ი

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ სამშაბათს, 17 მარტს, დილის 3 საათზე რაიკომის შენობაში (პლეხანოვის პროსპ. № 96) შესდგება არსენალის რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა. წინადადება ეძლევათ გამოცხადდნენ კანდიდატებიდან **პარტიის წევრებად გადასაყვანად:**

1. აბრამიანცი ეგიშ, 2. ათაბეგოვი არმენაკ, 3. არუტიუნოვ ვაგაზ, 4. ათაბეგოვი ნიკოლოზ, 5. არინინ ალექსი, 6. ბოჭაროვი ივანე, 7. ვიხოდცევი მიხეილ, 8. გურაშვილი ალექსანდრე, 9. გავრილენკო ივანე, 10. გაიდაი ნიკოლოზ, 11. ჯალალოვი მარტინ, 12. ილიინა ტატიანა, 13. ქითაშვილი ალექსი, 14. კირილოვი ივანე, 15. კაპანიანცი ანდრია, 16. მაღრაძე ბარბალე, 17. მურადოვი რუბენ, 18. ოგანეზოვი არამ, 19. ოგანესოვი ტიგრან, 20. ოგანესოვი იოსები, 21. პეტროსიანი არტემ, 22. სერგიენკო დანიელ, 23. სარქისოვი სერგო, 24. თუმანოვი ლევონ, 25. თამაგარევა მატრონე, 26. ხაჩატუროვი გევორქ ხაჩ., 27. წერეთელი ვალერიან, 28. ჩიკულაევი ვლადიმერ, 29. ჩანდიშვილი ანტონ, 30. შხიანელი არტემ, 31. ენუქიძე ვლადიმერ, 32. თათარინცევი ვალენტინი.

პარტიის კანდიდატებად მიღებისათვის.

1. აკოფოვი ლევან, 2. ალიხანოვი პოღოს, 3. აგარანოვი ვართან, 4. აკოფოვი ნიკოლოზ, 5. აბუაშვილი დარჩო, 6. არონაშვილი გიორგი, 7. ავეტიანი ხამსონ, 8. ალექსიანცი ანდრონიკ, 9. აიდინსკი მიხეილ, 10. ატაშიანი სტეფანე, 11. ანტიპოვი სიმონ, 12. შაიზატიან არტემ, 13. ბობროვი პეტრე, 14. ბადალოვი ზია, 15. ბადალიანი იოსებ, 16. ვეფხვაძე იასონ, 17. გოცირიძე ვიორგი, 18. გეორგობიანი ვარლამ, 19. მოწერელი ივანე, 20. ლარიბოვი გაბრიელ, 21. გოგოდიაშვილი ვარლამ, 22. გევონდიან სარქის, 23. დორფეანი ზელმან, 24. ჯაკახაშვილი ლევან, 25. დავიდოვი ანდრია, 26. ენკოვი ნიკოლოზ, 27. ეერნოვკოვი ალექსანდრე, 28. კირეულაშვილი შალვა, 29. კუზიეოვი იზედ, 30. კაშკოლოვი სარქის, 31. კალაშევი კარაპეტ, 32. კოლხიდაშვილი ზაქარია, 33. კარპოვი ვასილ, 34. კაველაშვილი მიხეილ, 35. ყაზაროვი ალექსი, 36. კალანინი პეტრე, 37. მინასიანი არუტიუნ, 38. მინასბეკოვი ალექსანდრე, 39. მიშკინ მიხეილ, 40. მახარაშვილი ვლადიმერ. 41. ნარიმანაშვილი ალექსანდრე, 42. ოქრუაშვილი დავით, 43. ოსიპიანცი ალექსანდრე, 44. ოქოევი რუბენ, 45. ორჯონიკიძე სავანტი, 46. ფანიევი ალოშა, 47. როდნიკოვი მიტროფანე, 48. სლანაშვილი ივანე, 49. სოვდაგაროვი დავით, 50. სხირტლაძე სიმონ, 51. სოსანაშვილი სიმონ, 52. სარქისოვი სერგო, 53, სარვაზიანი აგარონ, 54. საფარიანცი კარაპეტა, 55. სმერნიცკი ვასილი, 56. სარქისოვი მარკოზ, 57. სტეფანაშვილი პეტრე, 58. თოფჩიანცი მარტიროს, 59. თუმანოვი მიხეილ, 60. ტერ-არუტიუნოვი გაი, 61. ტოლონიძე გიორგი, 62. ნარიბეკაშვილი ივანე, 63, ხერედინოვი ნიკოლოზ, 64. ხაჩატუროვი ოგანეს, 65. შლეპკინი ნაზარ, 66. ელიაშვილი ზაქარია, 67. იარალოვი ვასილი, 68. ფორშტი იოსებ, 69. ჭილაძე შალვა.

მდივნის მაგიერი **ძელაძე.**

— ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 17 მარტს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში გაიმართება ქალაქის რაიკომის დელეგატ ლისთა კრება.

— საქართველოს ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 18 მარტს, დილის სრულ 10 საათზე, ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის ბინაზე (რუსთაველის პრ. № 20) შესდგება ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.

თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის ყველა წევრების დასწრება დაგვიანე[illegible] სავალდებულოა.

[illegible] ჩამოთვლილ ამხანაგებს წინადადება ეძლევათ გამოცხადდენ იქვე დილის 1 ნახ. საათზე.

1. ხიდაშელი ალექსანდრე, 2. ბიტტ-ლაზარი მარია, 3. ლუდუმიძე დავით, 4. მგალობლიშვილი ლიუდმილა, 5. წულაძე გიგი, 6. ლაბაძე ირაკლი, 7. დავრანოვი ვაგარშაკ, 8. დანელია არტაშეს, 9. მაჭუტაძე ტარიელ, 10. მუსაელიანი ალექსანდრე, 11. კრიმფოლოვიჩი კონსტანტინე, 12. პეტროსოვი ვლადიმერ, 13. ლუკშტი ვლადიმერ, 14. ავეტიანი მარია, 15. ზიგრანიანი ნაზიბ, 16. მუსოიანი სირანუშ, 17. ბაგიროვა მარია, 18. სამიბრატოვა ვალენტინა, 19, ლეჟავა შალვა, 20. გრუშევა ნადეჟდა, 21. მეზვრიშვილი ალექსანდრე, 22. ზედიაშვილი ალექსანდრე, 23. მახარაძე უშანგი, 24. გიორგობიანი იოსებ, 25. ოგლობლა კლავდია, 26. იაკოვლევი ანატოლი, 27. ობაბაშევა მარგარიტა, 28. შუშანიანცი არკადი, 29. გასპაროვი გიორგი, 30. ოგანეზოვი სატენიკ, 31. თორაძე შალვა, 32. გაგიევა მარია, 33. მჭედლიშვილი იოსებ, 34. ჯაგრიშვილი აკაკი, 35. ქალანტაროვი კონსტანტინე, 36. ისრაელიანი კამსა, 37. ტოგვაძე სევერიანე, 38. შუმანი რობერტ, 39. დილემაშვილი ნიკოლოზ, 40. აჯიმინიანი ტიგრან, 41. ახპატელოვი მელიქ, 42. ავაბეკიანი სერგი, 43. თუმანიანი ვერსიკ, 44. ცანავა იულიან, 45. ვართანოვი გრიგოლ, 46. ნებიერიძე, 47. ბაგიევი ანდრია, 48. ანდრიანოვა, 49. ოსაძე, 50, რაზუვაევი, 51. გრეივო, 52. ზარუცკი, 53. ცინცაძე მიხეილ, 54. ქუზოვი პიხეილ, 55, ანანოვი სერგო, 56. ბაზალაშვილი არსენ, 57. თორდია პელაგია, 58. ნიკოლოვი ვლადიმერ, 59. ოგანეზოვი პეტრე, 60. კალანდაძე არიადნა, 61. არდამელია კალისტრატე, 62. სევასტოვი (ა | ს კომუნისტური უნივერსიტეტიდან), 63. სტეპანოვი გაბრიელ, 64. კაიზერი ვსევოლოდ, 65. კოლბაია, 66. გარაგესოვი, 67. გრიგოლია მიხეილ, 68. ცინცაბაძე დიმიტრი, 69. ბარაბიძე ლეონტი. 70. ფარულავა შალვა, 71. ცქიტიშვილი იოსებ, 72. გელაშვილი გიორგი, 73. ბერიშვილი ელიზბარ, 74. კოკსაძე სერგი, 75. მამისაშვილი ლეონ, 76. ბერია შალვა, 77. სტეხინა ალექსანდრა, 78. მანველიძე, 79. ჯაფარიძე, 80. რუდნიკ ანა, 81. სუმბატოვა შაენ, 82. კახიანი, 83. თამაზოვი ისაკ, 84. სალტიკოვი მარ[illegible] 85. აპრესიანი მარია, 86. ზალიევა ოფელია, 87. კონსტანტინოვა ეკატერინა, 88. მასხარიანი გუარიკ, 89. ბიჩეჯკო მარია, 90. ვოლხოვა ელენე, 91. თულაშვილი, 92. გალტოვა ანნა, 93. ტუსიევა ანნა, 94. პიატენკო ზინაიდა, 95. მურადოვა ანნა, 96 ვეთ[illegible]დიანა.

ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საორგ. განყ. გამგე გ ო ბ ე ჩ ი ა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი

პოლიგრაფ ტრესტის ლიტოგრაფიის ადგილკომი აცნობებს მბეჭდავთა კავშირის წევრებს, რომ კვირას, 15 მარტს გარდაიცვალა ამავე კავშირის მუშა

მიხაილ (მიშა) ვასილის-ძე
რაზმაძე

დაკრძალვა მოხდება 18 მარტს, ოთხშაბათს 1-ლ საათზე. გამოსვენება თავის ბინიდან სერებრიანის ქუჩა № 50

669 1—1

სენაკის სამაზრო პარტკომი და სამაზრო აღმასკომი აცნობებს ამხანაგებს და ნაცნობებს, სენაკის მაზრის მთლიან მომხმარებელ კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე ამხ.

ლუკა (გრიგოლი) ბუჭუს-ძე
გაგუას

მოულოდნელ გარდაცვალებას ქ. თბილისში, მარტის 14-ს, რომლის გასვენება ქ. ახალსენაკში (ს. ნაქალაქევი) მოხდება მარტის 17-ს დილით, სამშაბათს, ნაშუადღევის 5 საათზე მთავარ (ყოფილ მიხეილის) საავადმყოფოდან.

668 1—1

ღრმად დამწუხრებულნი გიორგი გარსევანისძე და არჩილ გიორგისძე რატიანი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 14 მარტს ქ. თბილისში პირველის სიმამრი და მეორის ბაბუა, ქუთაისის სადგურის უფროსი

კლემენტი ივანესძე
არხიპოვი

დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში ოთხშაბათს, 18 მარტს საფიჩხიის სასაფლაოზე.

663 1—1

ღრმად დამწუხრებულნი ეულლე ივლიტე კიძოთეს ასული, შვილები ლიუსია და სამსონ არხიპოვები, სიძე კონსტანტინე გაბრიელისძე ცაგარელი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და საყვარელი

კლემენტი ივანესძე
არხიპოვი

დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში ოთხშაბათს, 18 მარტს საფიჩხიის სასაფლაოზე.

663 1—1

კინო [illegible] თეატრი
(სახელმწიფო კონსერვატორია)
განსაკუთრებული წარმატების გამო, სურათი
„ПРЫЖОК В ЖИЗНЬ“
გაგრძელებულია კიდევ სამი დღით: 17, 18 და 19 მარტს
გაძლიერებული სიმფონიური ორკესტრი
სეანსების დასაწყისი: 1—6 საათზე, 2—8 საათზე და 3—10 საათზე

ანონსი
ვენეციის ლომები
სალარო ღიაა 5 საათიდან
დირექცია
ნ. 970. 1—1

რუსთაველის თეატრი
ხუთშაბათს, 19 მარტს
უკანასკნელად ამ სეზონში
„ინტერესთა თამაში“
შაბათს, 21 მარტს უკანასკნელად
გ მ ი რ ი
კვირას, 22 მარტს
რუსთაველის თეატრის ფიზკულტურის ფონდის გასაძლიერებლად
უკანასკნელად ამ სეზონში
„ს ი ნ ა თ ლ ე“
დასაწყისი საღ. 8 ნახ. ს.
968. 6—1

პარასკევს, 20 მარტს 1925 წელს დილის 10 საათზე
თბილისის სასაქალაქოებში დანიშნული იქნება
ვ ა ჭ რ ო ბ ა
ბინების ასფალტით დახურვის შესახებ
სრული პირობების შეტყობა შეიძლება ყოველდღე სასაქალაქოების დირექტორთან.
658.

თბილისის მე-5 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ი. გეგელაშვილი

აცხადებს, რომ 20 მარტს 1925 წ. დილის 11 საათზე მუშტაიდის შესახვევში, საბალონნო სკოლის ეზოში საჯარო ვაჭრობით იქნება გაყიდვა შენობისა გეორგი სეგმანოვის, რომელიც შესდგება სახლის ავეჯიდან დასაკმაყოფილებლად საქართველოს პასუხისმგებელ შრომის არტელის ქ. თბილისის მე-5 უბნის სახალხო სასამართლოს აღმსრულებელ ფურცლის 3 ნოემბრიდან 1923 წ. № 1482. შენობა შეფასებულია გასაყიდათ 350 მან.

660. 1—1 სასამართლოს აღმასრულებელი ი. გეგელაშვილი.

უფრო იაფად, ვიდრე სადმე ყოველგვარი საბავშვო სათამაშოები, ჟანდრაკი
კუბიკები—ანბანი ქართულ ენაზე
სათამაშოები წითელ-არმიელებისათვის, ფუტბოლი. პლეხანოვის პროსპ. (ყოფ. მიხეილის ქ.) მ. ფ. ანტონიუკ № 126.
ნის. 715 5—4

საკავშირო სახელმწიფო ბანკის
ამიერ-კავკასიის
საოლქო კანტორამ
სახელმწიფო ბანკის ახალ საზღვარგარეთელ ტარიფის თანახმად, მნიშვნელოვნად დასწია საზღვარ-გარეთ ამანათების გასაგზავნი ფასები
სახელმწიფო ბანკი ახდევინებს
ფულის ამანათზე 200 მანეთამდე 1 მ.
„ „ 201—2000 „ 2 მ.
„ „ 2000 მანეთზე ზევით
1 ‰ (ერთპრომილს) ანუ 3 მ.
ყველა საფოსტო და სატელეგრაფო ხარჯების თანდართვით
სათანადოთ დაკლებულია
ყველა დანარჩენ საზღვარგარეთელ ოპერაციების და აგრეთვე შინაურ ამანათების და ოპერაციების ფასი
ნ. 967 1—1

წყალსადენის სამმართველოსაგან

წყლის ფასის გადახდევინების ახალი სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით კომუნალური წყალსადენი ავალებს თავის აბონენტებს დაუყოვნებლივ წარმოადგინონ ყველა გასული თვეების, ა | წ. თებერვლის ჩათვლით გადაუხდელ ანგარიშებისამებრ, წყლის ხარჯის გაანგარიშების ცნობები № 3 ფორმის ბლანკებით გასული დროის კუთვნილი შეღავათების სრულიად მოსაწერად.

ამ ცნობების წარმოდგენისას შეღავათების ჩამოწერას არ შეეძლება შემოსატან ფულის გადაუხდელობა და ამიტომ ის აბონენტი, რომელიც 31 მარტამდე არსებული № 3 ფორმით ცნობებს არ წარმოადგენს, დაკარგავს ყველა გასული თვეების შეღავათების ჩამოწერის უფლებას ა | წ. 1 მარტამდე და ამაზე საჩივრები მხედველობაში არ მიიღებიან.

1 მარტიდან ყველა სახლის შეღავათების ჩამოწერას თვით წყ. ბუღალტერია აწარმოებს ახლად წარმოებულ რეგისტრაციის ბარათების მიხედვით და ამიტომ აბონენტებმა, რომელთა სახლებშიაც პირველ რეგისტრაციის შემდეგ მცხოვრებთა შემადგენლობა შეიცვალა 10 პროცენტით უნდა წარმოადგინონ წყ. ბუღალტერიაში წყლის წიგნი სათანადო საბუთებით ახალ რეგისტრაციაში გასატარებლად.

უკანასკნელი ვადა რეგისტრაციისა არის 31 მარტი და იმ აბონენტებს, რომელნიც ვადაზე სარეგისტრაციოდ არ წარმოადგენენ ჯეროვან საბუთებს, მარტის თვის შეღავათების ჩამოწერა მოხდება ძველი ბარათებით და სახლის პატრონები ან მათი მოადგილენი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში.

ახალი რეგისტრაცია სწარმოებს წყალსადენის განყოფილებაში ყოველ დღე საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე.

წყალსადენის დირექტორი **ხოჯაევი.**
ნ. 971 2—1 კანცელარიის გამგე **ქურთიშვილი.**

ე ქ ი მ ი
მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული
ავადმყოფობანი
ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან საღამოს 9 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე. ქალების მიღება საღამოს 4—5 საათამდე. საპიორის ქ. № 35.
25—1

დაიკარგა კავშირის საწევრო წიგნაკი № 1038 მოცემული ბათუმის სატრანსპორტო კავშირის მიერ სილიბისტრო დიმიტრის ძე მაღლაკელიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 659 1—1

დაიკარგა პირადი წიგნაკი მიცემული ქ. თბილისის მე-10 უბნის სამხედრო მაგიდის გამგისაგან 1924 წელში ევტიხი იგივე კიკილო ერმალოს ძე ბოლქვაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 661 1—1

დაიკარგა ილია ივანეს ძე ქორქაშვილმა მეტრიკული ამონაწერი № 767. ჩაითვალოს გაუქმებულად. 664 1—1

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 9071, მოცემული საბჭოთა მოსამსახურეების კავშირის მიერ და პირადობის მოწმობა მოცემული საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობიდან № 3979 ანდრო ჩხეიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 665 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა მოცემული 1917 წელს კერჩინეიკაის საქალაქო მილიციისაგან სებ ვასილისძე შემჩაკინის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 666 1—1

დაიკარგა დაქორწინების მოწმობა № 863 დიდუბის მამასახლისისაგან მოცემული გერმანე კორსავას სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 667 1—1

დაიკარგა პასპორტი ამინ აბდულ რახმანის ძე ბაბტორავის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 672 1—1

დაიკარგა 1913 წელს ქ. გორის მეტრიკული მოწმობა მელენტი ნიკოლოზის ძე ფილიასის მიერ მული საქართველოს სინოდალური კანტორის მიერ 1907 წელს № 643. ჩაითვალოს გაუქმებულად. 673 1—1

დაიკარგა დაზღვევის წიგნაკი № 2259 მოცემული დიმიტრი მინას ძე პატარიძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 671 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა იაკობ რუსარიონის ძე პეტრიაშვილის სახელზე გაცემული მეორე ენის მაზრის მილიციის უფროსის მიერ № 1570. ჩაითვალოს გაუქმებულად. 670 1—1

დაიკარგა რეგისტრაციის ბარათი ნომერი № 5101 ქ. თბილისის 4-ხე მილიციის უბნის მაგიდის მიერ მოცემული და პირადობის მოწმობა ქუთაისის მაზრიდან პორფილე ივანეს ძე დაუშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 662 1—1

ტირაჟი—214.98

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, საშა წულუკიძის ქ. № 4